პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 46-ე წელი. № 61 (13455) | ოთხშაბათი, 16 მარტი, 1966 წ. | ფასი 2 კაპ.

საგაზაფხულო თესვის მაღალი ტემპი და ხარისხი ყრილობისათვის საუკეთესო საჩუქარია!

საბჭ�ფრონტზე ერთიანი ბრიგადა

საბჭოთა წინ სვლა, საჭიროა წინ ვიხედებოდეთ, საჭიროა ყრილობაზე მოვიტანოთ სამეურნეო მშენებლობის კარგად მოფიქრებული და ყურადღებით, პარტიის ყველა წევრის საერთო შრომით, საერთო ძალ-ღონით გადამუშავებული პრაქტიკული გამოცდილება.

ვ. ი. ლენინი.

საერთო სახალხო საქმე

ოდითგანვე ასე იყო, ძველი კოლეგიები ჯვარელი ბოლები თავის მოკეთეს ასე დალოცავდა ხოლმე: მანამ იცოცხლე, სანამ ჩვენს ხოფელს შაგი ენგური ჩამოურბილო.

საუკუნეების მანძილზე ხმაურიან, გრიალით მოედინებოდა ენგური. მოდიოდა და არაფერს არ ზოგავდა. ვინ იცის, რამდენი მეტივე თუ ხისმბერელი შეუწირავს ბის აქაფებულ ტალღებს. რამდენჯერ აზღვავებულა და წყალეკავს ღარიბი გლეხის სიმწრითა და ოფლით გათხნილი ყანა.

ასე იყო. ახლა კი სულ სხვა სურათია. ჩვენმა ჰიდრომშენებლებმა გადაწყვიტეს დამანას კეთილად ემსახურა ეს გიჟაკი მდინარე. გადაწყვიტეს და ჩანაფიქრის განხორციელებასაც წარმატებით შეუდგნენ. წალენჯიხის რაიონის დაბა ჯვარის ზემოთ ოთხ წელიწადში აღიმართება მსოფლიოში ერთ-ერთი უნიკალური და ძალლი თაღოვანი კაშხალი, რომლის სიმაღლე საძირკვლიანად 270 მეტრი იქნება.

დიდია ამ ჰესის მნიშვნელობა და მასშტაბები. ენგურჰესის ამუშავებით ჩვენი ახალხო მეურნეობა მიიღებს იმ ენერგიის 80 პროცენტს, რასაც დღეს საქართველოს მთელი ენერგოსისტემა გვაძლევს.

როცა ჩვენი ქვეყანა ელექტროფიცირებული იქნება, როცა მრეწველობას, სოფლის მეურნეობასა და ტრანსპორტს შეექმნით თანამედროვე მსხვილი მრეწველობის ტექნიკურ ბაზას. მხოლოდ მაშინ ავიმარჯვებთ საბოლოოდ — ასე ეხებოდა ფლადიმერ ილიას-ძე ლენინს ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენების გზები.

საბჭოთა ბალხი კანონიერად ამაყობს ამით, რომ კომუნისტური პარტიის ხელძღვანელობით შექმნა ძლევამარ, ყოველმხრივ განვითარებული ინდუსტრია. მრეწველობა წარმოების მოცულობით ჩვენს ქვეყანას ახლა მეორე ადგილი უჭირავს მსოფლიოში, ხოლო ბევრი დიდებულოვანი სახეობის პროდუქციით — პირველი. მაგრამ ჩვენ მიღწეულით ბოლდაჯერება არ გვჩვევია.

ჩვენ საბჭოთა ადამიანი დიდი ამაყოფილებით შეხვდა იმ ფაქტს, რომ პარტიის XXIII ყრილობის დირექტივების ერთ-ერ ტაბში ბუთწლიანი გეგმის შესახებ ანსაზღვრულია მრეწველობის შემდგომი მნიშვნელოვანი ზრდა. ეს დიადი ძვრა ადამ გამოხატულებას ჰპოვებს საქართველოს ეკონომიკის შემდგომ განვითარებაშიც.

ჩვენი სახალხო მეურნეობის შემდგომი ადამიანობის აუცილებელი პირობაა ენერგეტიკული მეურნეობის სწრაფი განვითარება, რაც ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის ლენინური პოლიტიკის განხორციელებას წარმოადგენს.

ამუამად რეპუბლიკის სახალხო მეურნეობას ემსახურება ზაჰესი, რიონჰესი, ალაზანჰესი, სოხუმჰესი, ჩითახევჰესი, გუმათჰესები, ხრამჰესები, ტყიბულჰესი, ლაჯანურჰესი და სხვა თბოსადგურები და ჰიდროელექტროსადგურები.

საბჭოთა საქართველომ, რომელიც გაერთიანებულია ჩვენი დიადი ქვეყნის ეროპული ნაწილის ყველაზე მძლავრ მოქმედ ენერგოსისტემაში. ჰიდროელექტროსადგურების ერთიანი სიმძლავრე გაზარდა 140-ჯერ, ხოლო ელექტროენერგიის გამომუშავება — 90-ჯერ, ვიდრე ეს ზაჰესის ამუშავების დროს იყო.

მაგრამ როგორც ჩვენთან, ისე მთელ ამერიკაკავკასიაში ენერგეტიკული ბალანსი დეფიციტურია. მისი გაუმჯობესებისათვის განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება ადგილმდებარე ჰიდროენერგეტიკული რესურსების ათვისებას, რომელთა გამოყენების კოეფიციენტი მეტად დაბალია.

სწორედ ამიტომ საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ თავისი XXIII ყრილობის რეზოლუციაში ჰიდროენერგომშენებლებს მეტად პასუხსაგები ამოცანა დაუსახა. რეზოლუციაში ვკითხულობთ: **ერთ-ერთ უაღრესად მნიშვნელოვან და პირველი რიგის ამოცანად ჩაითვალოს ენერგეტიკული საწარმოების, ელექტროგადაცემის ხაზების მშენებლობის დაჩქარება.**

„...მთელი ძალ-ღონით გაანავითარეთ ჰიდროენერგეტიკული მეურნეობა, თეთრი ნახშირი...“ დიდი ბელადის ამ ანდერძს ქართველი კომუნისტები, ჩვენი მშრომელები თანმიმდევრულად ახორციელებენ. რეპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების 1966-1970 წლების ხუთწლიანი გეგმის ძირითადი თავისებურებაა ენერგეტიკული ბალანსის არსებითი გაუმჯობესება. მდიდარი ჰიდროენერგეტიკული რესურსების ფართოდ გამოყენების გზით.

ცნობილია, რომ ჰიდროენერგომშენებლობის პრაქტიკაში ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, როცა ხუთი წლის განმავლობაში ერთდროულად შენდებოდეს ოთხი უდიდესი ჰიდროელექტროსადგური, რომლებსაც უნიკალური თაღოვანი კაშხლები ეკნებათ.

ამოცანად დასახულია ენგურის ჰიდროელექტროსადგურის, მდინარე რიონის ჰიდროელსადგურების — ნამახვანჰესისა და ვარციხის ჰესის პირველი რიგის ამოქმედება. თბილისის სახელმწიფო რაიონულ ელექტროსადგურში — ამ გეგანტში — გათვალისწინებულია კიდევ სამი 450-ათასკილოვატიანი საერთო სიძლავრის, ენერგობლოკის დადგმა.

შარშან რეპუბლიკის ელექტროსადგურებმა 6 მილიარდი კილოვატ-საათი ელექტროენერგია გამოიმუშავეს, ხოლო ახალი ხუთწლედის ბოლოს ელექტროენერგიის გამომუშავება თითქმის ერთიორად გაიზრდება.

ელექტროენერგეტიკის ასე ფართოდ განვითარებაში გადამწყვეტ სიტყვას იტყვის ენგურჰესი რომლის სიმძლავრე ერთი მილიონ 630 ათასი კილოვატი, ხოლო ელექტროენერგიის წლიური გამომუშავება — 5 მილიარდზე მეტი კილოვატ-საათი იქნება.

როგორც ვხედავთ, ლენინის ორდენოსანი ტრესტის „საქჰიდროენერგომშენის“ კოლექტივის წინაშე მეტად სერიოზული საშველიშვილო ამოცანაა დასახული. მშენებლები მონდომებით შრომობენ. იანვრის ბოლოს ენგურზე პირველი გაბარკვება იზეიმეს — მთის მდინარე 521-მეტრიან სამშენებლო გვირაბში გადაუშვეს, რითაც მშენებლებს საშუალება მიეცათ მდინარის 400 მეტრი სიგრძის განთავისუფლებულ კალაპოტზე კაშხალის შენება დაეწყოთ.

ამჟამად აქ მიმდინარეობს 20 მეტრი სიმაღლის მიწის ზღუდარის მშენებლობა, რომელიც წყლისაგან დაიცავს კაშხალის სამუშაოებს. ამოცანა სერიოზული. მით უფრო, რომ გათვალისწინებულია ზემოაღნიშნული სამუშაოები მომდინარე წლის პირველი აპრილისათვის დამთავრდეს. ამის შემდეგ დაიწყება რთული და უნიკალური კაშხალის აგება.

ამოცანის პირნათლად შესრულებისათვის მშენებელთა პარტიულმა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა ტრესტის ხელმძღვანელობასთან ერთად სისტემატურად უნდა იზრუნონ, რათა აამაღლონ ტექნიკის გამოყენების კოეფიციენტი, თვითეული მუშის შრომის ნაყოფიერება, განუვითარონ მშენებლებს საქმისათვის მეტი პასუხისმგებლობის გრძნობა და პატრიოტული სულისკვეთება. ამის აუცილებლობა უფრო ნათელი გახდება, თუ გავიხსენებთ, რომ ხუთწლედის პირველ წელს ენგურჰესის მშენებლობისთვის გამოყოფილია 40 მილიონი მანეთი, ხოლო მომავალ წელს ეს თანხა კიდევ 15 მილიონით გაიზრდება.

ამ საქმის წარმატებით განხორციელებაზე დიდად არის დამოკიდებული ჩვენი სახალხო მეურნეობის შემდგომი აღმავლობა. ეს გასაგებიც არის. ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის განსაკუთრებული როლი ძირითადად იმით არის გაპირობებული, რომ საწარმოო პროცესების მექანიზაცია და ავტომატიზაცია შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ ელექტროენერგიის გამოყენების საფუძველზე. გარდა ამისა, ელექტროენერგია ადვილად შეგვიძლია მივიყვანოთ ნებისმიერ ადგილზე, რაც საშუალებას გვაძლევს საწარმოებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მექანიზებული გავხადოთ ყველა სახის საამუშაოები. ამით დიდად გავზრდით თვითეული მუშის მარგი მოქმედების კოეფიციენტს.

ამჟამად პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება მეცნიერულად დასაბუთებული ნორმების ფარგლებში ელექტროენერგიის ხარჯვას, ასევე საწარმოებისა და პროდუქციის სახის მიხედვით თვით ნორმების დაზუსტებას. შეფერხება ელექტროენერგიის მიწოდებაში ყოვლად დაუშვებელია, მაგალითად, ელექტრომეტალურგიასა და ქიმიურ საწარმოებში, ასევი შეფერხებები იწვევს აპარატურისა და გადამუშავებული პროდუქციის გაფუჭებას, ზოგ შემთხვევაში თვით დანადგარის გაფუჭებასაც კი. სოფლის მეურნეობაში ასევე გარანტირებული უნდა იყოს ელექტროენერგიის მიწოდების საიმედოობა.

მკვეთრად იზრდება ელექტროენერგიის მოხმარება ყოფაცხოვრებაშიც.

ამიტომ ენერგეტიკული მშენებლობის ამ გრანდიოზული პროგრამის განსახორციელებლად, რომელიც ითვალისწინებს სამშენებლო სამუშაოთა ფართო ფრონტს ყოველწლიურად საშუალოდ 70-75 მილიონ მანეთს კაპიტალურ დაბანდებათა ასათვისებლად, რესპუბლიკის ჰიდროენერგომშენებლებმა მნიშვნელოვნად უნდა გააფართოონ სამშენებლო ინდუსტრიის ბაზა, ხოლო ადგილმდებარეობა რაიონულმა ორგანიზაციებმა ყოველმხრივი დახმარება უნდა გაუწიონ ტრესტ „საქჰიდროენერგომშენის“ კოლექტივს სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციების მუშახელით უზრუნველყოფის საქმეში.

გადავაქციოთ ჰიდროენერგომშენებლობა საერთო-სახალხო საქმედ!

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲣᲠᲘ ᲛᲐᲠᲙᲘᲗ

მუშაობლიური კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობის მზადების დღეებში

ახალი შრომითი აღმავლობაა თბილისის ქარხანა „ელექტროავტომატში“. ამ ქარხნის კოლექტივი წარმატებით ასრულებს ყრილობის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებას და ახალ შრომითს ხაჩუქრებს უმზადებს სამშობლოს.

ქარხნის კოლექტივმა ახალი ხუთწლედის პირველი წლის ორი თვის საწარმოო გეგმა გადაჭარბებით შეასრულა და გეგმის გადამეტებით 9.800 ელექტროავტომატი გამოუშვა. თბილისური მარკის ავტომატები გაიგზავნა არა მარტო ჩვენი ქვეყნის მრავალ კუთხეში, არამედ საზღვარგარეთაც — ალჟირში, ინდოეთში, კუბაში და სხვ.

ახალი ტექნიკის დანერგვისა და ტექნოლოგიური პროცესების გაუმჯობესების გზით ორ თვეში შრომის ნაყოფიერების ზრდამ გეგმით დასახულს 9 პროცენტით გადააჭარბა.

ქარხანაში ბევრი მოწინავე ბრიგადაა, ერთი მათგანია მექანიკური მოხამზადებელი უბნის კომუნისტური შრომის ახალგაზრდული ბრიგადა, რომელსაც ა. მელაძე უძღვება. ბრიგადამ ორ თვეში გეგმის გადამეტებით ავტომატის 9 ათასამდე სხვადასხვა დეტალი გამოუშვა.

ახალი ტექნიკის დანერგვისა და ტექნოლოგიური პროცესების გაუმჯობესების გზით ორ თვეში შრომის ნაყოფიერების ზრდამ გეგმით დასახულს 9 პროცენტით გადააჭარბა.

ქარხანაში ბევრი მოწინავე ბრიგადაა, ერთი მათგანია მექანიკური მოხამზადებელი უბნის კომუნისტური შრომის ახალგაზრდული ბრიგადა, რომელსაც ა. მელაძე უძღვება. ბრიგადამ ორ თვეში გეგმის გადამეტებით ავტომატის 9 ათასამდე სხვადასხვა დეტალი გამოუშვა.

დაზოგილი ლითონით

წინასაყრილობო შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს წარმატებით ასრულებს თერჯოლის მექანიკური ქარხნის კოლექტივი. ახალი ხუთწლედის პირველი წლის იანვარ-თებერვლის დავალება გადაჭარბებით გავანაღდეთ.

ჩვენი კოლექტივი მხურვალედ გამოეხმაურა მოსკოვისა და ლენინგრადის საწარმოთა პატრიოტულ თაოსნობას, იკისრა ხუთწლედის პირველ წელს დაზოგოს 12 ტონა შავი ლითონი და მით დაამზადოს 200 ცალი საწოლი.

ეს ვალდებულებაც წარმატებით სრულდება.

მ. ჯანელიძე,

თერჯოლის მექანიკური ქარხნის ინჟინერ-ნორმადადარი.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲐᲓᲒᲘᲚᲖᲔ

ტრესტ „ჰიათურმარგანეცის“ დიმიტროვის სახელობის მაღაროს კოლექტივმა 1965 წლის IV კვარტალის მაჩვენებლებით სსრ კავშირის მეტალურგიული მრეწველობის საწარმოთა შორის პირველი ადგილი მოიპოვა და მას პირველი ფულადი პრემია გადაეცა.

მაღაროს კოლექტივის წარმატებაში დიდი წვლილი შეიტანა № 7 საწარმოო უბნის ექსკავატორის ეკიპაჟმა, რომელსაც კომუნისტი ნიკოლოზ მესხი ხელმძღვანელობს. ეკიპაჟის წევრებს ცვლაში 500 ტონა მარგანეცი ამოაქვთ ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 250 ტონისა.

სკკპ XXIII ყრილობის დირექტივების პროექტს რომ გაეცნენ, მოწინავე ეკიპაჟის წევრებმა იკისრეს ახალი ვალდებულებები.

• • •

სურათზე: ექსკავატორის მემანქანე ნიკოლოზ მესხი (მარჯვნივ) და მემანქანის თანაშემწე ვასილ ბაკურაძე.

ფოტო ა. მაჭავარიანისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

რუსთაველთა ნათელი პერსპექტივები

რუსთავის ბრიგადებში, საამქროებში, პირველადი პარტიული ორგანიზაციებსა ლია კრებებზე ფართოდ განიხილავენ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1966-1970 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ სკკპ XXIII ყრილობის დირექტივების პროექტს. განხილვის მსვლელობაში შემოაქვთ ბევრი მნიშვნელოვანი წინადადება, აკეთებენ წარმოების განვითარების დაჩქარების, ჩვენი ქვეყნის ეკონომიური და კულტურული დონის ამაღლების ახალ რეზერვებსა და შესაძლებლობებს.

რუსთავის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე მომხსენებელი — პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი რ. ჯაფარიძე და კამათში გამოსული ამხანაგები ლაპარაკობდნენ იმაზე, რომ რუსთავის მშრომელები, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, ერთსულოვნად იწონებენ პარტიის გენერალურ ხაზს, რომელიც გამოხატულია დირექტივების პროექტში. აღნიშნავდნენ რუსთავის მშრომელების მიერ შეიდწლედის წლებში მიღწეულ წარმატებებს და სახავდნენ ახალ ამოცანებს, რომელთა შესრულება უზრუნველყოფს სამრეწველო წარმოების დონის მნიშვნელოვან ამაღლებას.

ქალაქის მრეწველობის საერთო პროდუქციის მოცულობამ შეიდწლედში ასეულობით მილიონ მანეთზე მეტი შეადგინა, რაც 10 მილიონით აღემატება სახელმწიფო გეგმით გათვალისწინებულ თანხას. მართალი საერთო პროდუქციის მოცულობა 1958 წელთან შედარებით 48 პროცენტით გადიდდა. მწყობრში ჩადგა ახალი საამქროები, წარმოებანი და დანადგარები, გადიდდა მეტალურგიული ქარხნის ბრძოლების სიმძლავრენი, დაიწყო კაპროლაქტამისა და კორდის წარმოება, მოქმედთა მწყობრში ჩადგა სახლსამშენებლო კომბინატი, სამრეწველო-სამშენებლო მასალების კომბინატი, საშენებლო და საგზაო მანქანების შემკეთებელი ქარხანა და სხვ.

ახალ ხუთწლედში საექსპლოატაციოდ გადაეცემა ახალი სამრეწველო საწარმოები: ამიერკავკასიაში ყველაზე მსვლელი ფოლადსამსხმელო ქარხანა — რუსთავის „ელექტროლიტი“, ლითონკონსტრუქციების ქარხანა, ხისდამუშავებელი კომბინატი და რკინაბეტონის ნაკეთობათა კომბინატი. დასახულია მეტალურგიული ქარხნის რეკონსტრუქცია და გაფართოება, მწყობრში ჩადგება აზოტიანი სასუქების ქარხნისა და სინთეზური ბოჭკოს ქარხნის მეორე რიგი.

რესპუბლიკის ერთ-ერთი უმსხვილესი სამრეწველო ცენტრის შემდგომი გაბატონარების გეგმის განხორციელება მოითხოვს არა ძარტო მაღალ შრომითს დაძაბვას, არამედ საწარმოო სიძლავრეთა შემდგომი გადიდების რეალურ შესაძლებლობათა გამონახვისათვის, მკაცრი მომპირნეობისა და ყაირათიანობისათვის ბრძოლა ბრძოლასაც. ამ აზრით იყო გამსჭვალული რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროს მეფოლადის **გ. ჩაჩანიძის**, რუსთავის ქიმიური კომბინატის მთავარი ინჟინრის **ი. გრძელიძის**, ამიერკავკასიის „მეტალურგმშენის“ ტრესტის მმართველის **ზ. ჯაფარიძისა** და სხვების გამოსვლები.

თავის გამოსვლაში რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მთავარმა ინჟინერმა **ო. სულაძემ** ხაზგასმით აღნიშნა, რომ **საჭიროა ქარხანაში ფანგბადის სადგურის აგება, რაც შესაძლებელს გახდის მარტენული და საბრძმედე წარმოების ინტენსიფიკაციას, აგრეთვე საგლინავი საამქროების, კერძოდ მილსაგლინავ დგან „140“-ის, ფურცელსაგლინავ დგან „2100“-ის რეკონსტრუქცია.** დასახულ ღონისძიებათა განხორციელება მილების წარმოების გადიდებასთან ერთად შესაძლებელს გახდის მიღწეულ იქნას ქარხნის მყარი რენტაბელობა. გარდა ამისა, ლიკვიდირებული იქნება არსებული დისპროპორცია ცალკეულ საამქროთა განვითარებაში.

რუსთავის სინთეზური ბოჭკოს ქარხნის კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელმა **ვ. სმეტანინამ** დააყენა საკითხი **თბილისი-რუსთავის რკინიგზის მეორე ხაზის მშენებლობის შესახებ,** რაც ხელს შეუწყობს რუსთავის საწარმოთა დაკომპლექტებას თბილისში მცხოვრებ მუშათა კადრებით.

ცემენტის ქარხნის პარტიული ბიუროს მდივნის მოადგილემ **დ. ანდღულაძემ** აღნიშნა, რომ ქარხნის მესამე ტექნოლოგიური ხაზის მშენებლობის დამთავრებასთვის მოცემული სახსრება ამაკად არასაკმაოა, და წინადადება წამოაყენა გადიდდეს ასიგნება ამ დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებისათვის.

რუსთავის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ **ნ. ებრალიძემ** ილაპარაკა ახალ ხუთწლედში საქალაქო მშენებლობის პერსპექტივებზე. უკვე წელს სოციალისტიკიდან გადაეცემა ხრამ-რუსთავის წყალსადენის პირველი რიგი წამში 900 ლიტრი სიმძლავრისა, 800-ადგილიანი ფართოეკრანიანი კინოთეატრი, საბავშვო საავადმყოფო, 2 საბავშვო ბაღი და ბაგა, სკოლა, **საჭიროა უაღრესად სერიოზული ყურადღება მივაქციოთ სამკურნალო დაწესებულებათა ქსელის გაფართოებას, ვიზრუნოთ მათთვის ახალი შენობების აგებაზე.**

ამხ. ებრალიძემ დააყენა საკითხი იმის შესახებ, რომ საქალაქო მეურნეობის განვითარების ხუთწლიან გეგმაში შეტანილ იქნას **პურის ახალი კომბინატის მშენებლობა,** ვინაიდან არსებული კომბინატი ვერც თავისი სიმძლავრით და ვერც ტექნიკური აღჭურვილობით ვერ აკმაყოფილებს რუსთავის მოსახლეობის მზარდ მოთხოვნილებებს.

კრებაზე სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. **ვ. პ. მეჟავანაძემ.** მან ილაპარაკა ხუთწლიანი გეგმის დიდ ამოცანებზე, იმაზე, რომ ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის ეკონომიური პოლიტიკა გამოხატავს ხალხის ძირეულ ინტერესებს. ამხ. მეჟავანაძემ რწმენა გამოთქვა, რომ რუსთაველები ღირსეული შრომითი საჩუქრებით შეხვდებიან სკკპ XXIII ყრილობას, ტრაკტორ იბრძოლებენ ხუთწლიანი გეგმის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის.

კრებამ ქალაქის მშრომელთა სახელით იკისრა ახალი გადიდებული ვალდებულებანი 1966 წლისათვის. **(ჩვენი კორ.).**

ᲡᲐᲐᲛᲐᲧᲝ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ

ᲒᲣᲘᲜᲓᲣᲚᲘ. (საკ. კორ.). გელათის ტრანსფორმატორების ქარხნის კოლექტივი (დირექტორი პ. მეტონიძე), რომელიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობის აღსანიშნავ შრომითს ეახტზე დგას, საქმით გამოეხმაურა მოსკოვისა და ლენინგრადის საწარმოოთა შესანიშნავ თაოსნობას. მეტრანსფორმატორეებმა შეიმუშავეს კონკრეტული ღონისძიებანი ლითონისა და სხვა დამხმარე მასალების ეკონომიურად ხარჯვისათვის.

— დავზოგოთ 4 ტონა შავი ლითონი, 0,4 ტონა ფერადი ლითონი, 25 კილოგრამი ნაჭრომი, 0,3 ტონა საიზოლაციო მასალა და 0,2 ტონა საღებავი, — ასეთია გელათელთა ვალდებულება.

ამ დღეებში აქ შეაკეთეს პირველი შედეგები. დაზოგილი ლითონისა და სხვადასხვა მასალისაგან მარტო იანვარ-თებერვალში დამზადებულია 200 (ალი ელექტროდმელი, 1.000 ცალი ელექტროსპირალი და 40 ცალი გაზმანთი ტრანსფორმატორი.

ᲤᲔᲘᲥᲐᲠᲗᲐ ᲜᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐ

ᲐᲑᲐᲨᲘᲡ საქსოვი ფაბრიკის კოლექტივმა, რომელიც ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაება, თებერვლის საწარმოო დავალება 11 დღით ადრე შეასრულა. ათვისებულია ახალი სახის დეკორატიული ქსოვილი. ახლო მომავალში სამი ახალი ასორტიმენტის ქსოვილს ავითვისებთ.

ხუთწლედის პირველი წლის ბოლოს დაიწყება ოსპართულიანი კორპუსის შენებლობა, სადაც 350 საქსოვი მანქანა დაიდგმება. ახალი კორპუსის საექსპლოატაციოდ გადაცემის შემდეგ დიდად გაიზრდება ქსოვილების წარმოება.

ფეიქრებმა ვალდებულება იკისრეს პირველი კვარტალის საწარმოო დავალება 10 დღით ადრე შეასრულონ.

მ. ქასარაშვილი,

აბაშის საქსოვი ფაბრიკის პარტბიუროს მდივანი.

ᲓᲐᲖᲝᲒᲘᲚᲘ ᲚᲘᲗᲝᲜᲘᲗ

ᲬᲘᲜᲐᲡᲐᲧᲠᲘᲚᲝᲑᲝ შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს წარმატებით ასრულებს თერჯოლის მექანიკური ქარხნის კოლექტივი. ახალი ხუთწლედის პირველი წლის იანვარ-თებერვლის დავალება გადაჭარბებით გავანაღდეთ.

ჩვენი კოლექტივი მხურვალედ გამოეხმაურა მოსკოვისა და ლენინგრადის საწარმოთა პატრიოტულ თაოსნობას, იკისრა ხუთწლედის პირველ წელს დაზოგოს 12 ტონა შავი ლითონი და მით დაამზადოს 200 ცალი საწოლი.

ეს ვალდებულებაც წარმატებით სრულდება.

მ. ჯანელიძე,

თერჯოლის მექანიკური ქარხნის ინჟინერ-ნორმადადარი.



ᲩᲕᲔᲜᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲡᲐᲥᲛᲔᲡᲐᲛᲘ

ᲕᲘᲔᲢᲜᲐᲛᲔᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲡᲐᲭᲔᲠᲐᲓ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲝᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲔᲚᲗᲐ ᲙᲠᲔᲑᲐ

14 მარტს კავშირების სახლის სვეტიანან დარბაზში ამერიკის იმპერიალიზმის კრესიის წინააღმდეგ ვიეტნამელი ხალხის ბრძოლის მხარდასაჭერად გაიმართა მოსკოვის საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა კრება.

ჰავანის კონფერენციის მიერ ვიეტნამელი ხალხისადმი გამოცხადებული ოკუპაციის საბჭოთა კავშირის აზიისა და აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის კორესპონდენტმა ბ. გ. გაფეროვი (საკ.ფეი).

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲞᲠᲝᲤᲡᲐᲣᲬᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲠᲚᲘᲓᲐᲠᲒᲐ

ᲡᲐᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ პროფსაბჭომ ვიეტნამის პროფესიონალთა ფედერაციის გაუგზავნა დეპეშა, რომელშიც აღნიშნულია, რომ აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ხალხთა სოლიდარობის პირველი კონფერენციის მოწოდების პასუხად საბჭოთა კავშირში ფართოდ ეწოდა ვიეტნამელ ხალხთან სოლიდარობის ფონდი. საბჭოთა მშრომელები, ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრიობის ყველა ფენის წარმომადგენლები მასობრივ მიტინგებსა და კრებებზე, რომლებიც ყველგან ეწყობა, გადაცემენ გმობენ ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ინტერვენციის სამხრეთ ვიეტნამში, აგრესიას ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ და თავიანთ ფულსაწყრომას გამოთქვამენ ამერიკის შეერთებული შტატების ავანტიურული პოლიტიკის გამო.

საკავშირო პროფსაბჭო კვლავ სრულ სოლიდარობას უცხადებს ვიეტნამელი ხალხის სამართიანი უფლებისა ბრძოლას და საბჭოთა მშრომელების სახელით ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პროფკავშირებს. მშრომელებს წარმატებებს უსურვებს სოციალიზმის ნგებლობაში, ამერიკის იმპერიალიზმის აგრესიის მოგერიებაში, ვიეტნამის გაერთიანებისათვის ბრძოლაში.

(საკდესი).

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ᲗᲔᲗᲠᲗᲧᲐᲠᲝᲔᲚᲔᲑᲡ — ᲒᲐᲠᲓᲐᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲓᲠᲝᲨᲐ

თეთრი წყაროს („კომუნისტის“ კორ.). გუშინწინ შეიკრიბნენ რაიონის კოლმეურნეობების თავმჯდომარეები, საბჭოთა მეურნეობების დირექტორები, პირველადი პარტორგანიზაციების მდივნები, სოფლის მეურნეობის მოწინავენი, სპეციალისტები. ეს შეკრება, რომელიც გახსნა პარტიის თეთრი წყაროს რაიკომის პირველმა მდივანმა ი. ელოშვილმა, მიეძღვნა **თეთრი წყაროს რაიონისათვის საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფსაბჭოს გარდამავალი ჯილდო დროშის გადაცემას.**

თეთრწყაროელებმა ეს მაღალი ჯილდო დაიმახსოვრეს 1965 წლის მეოთხე კვარტალში მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებასა და დაბზადებაში მოპოვებული საუკეთესო წარმატებებისათვის. აღსანიშნავია ისიც, რომ ცხოველმზადების რაიონულმა კანტორამ შეინარჩუნა საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს გარდამავალი წითელი დროშა. მას ეს დროშა მინიჭებული ჰქონდა შარშან მესამე კვარტალის მაჩვენებლებისათვის.

შეკრებაზე მოხსენება გასული სამეურნეო წლის შედეგებისა და მომდინარე წლის ამოცანების შესახებ გააკეთა სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა **ვ. თეთრუაშვილმა.** სიტყვები წარმოთქვეს **შ. ბეჟაურმა** (ჯორჯიაშვილის კოლმეურნეობის თავმჯდომარე), **ნ. კუდუკოვმა** (ირგანის კოლმეურნეობის თავმჯდომარე), **ს. ნოზაძემ** (პარტიის ქარელის რაიკომის მეორე მდივანი), **მ. შუბითიძემ** (საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის მინისტრის პირველი მოადგილე) და სხვებმა.

სოფლის მეურნეობის მოწინავეთა შეკრებაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა **რ. ი. ფაჩუაძემ** და გარდამავალი წითელი დროშა გადასცა პარტიის თეთრი წყაროს რაიკომის პირველ მდივანს **ი. ელოშვილს.**

ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ XXIII ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐ

ᲙᲘᲔᲕᲘ. 15 მარტი. (საკდესი). დღეს აქ გაიხსნა უკრაინის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობა.

ყრილობის დღის წესრიგშია: უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის ანგარიშები, მოხსენება სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1966-1970 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ სკკპ XXIII ყრილობის დირექტივების პროექტი, უკრაინის კომპარტიის ხელმძღვანელი ორგანოების არჩევნები.

უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სალგარიშო მოხსენება გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრმა, უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა პ. ე. შელესტმა.

ᲡᲘᲐᲮᲚᲔ

ᲕᲗᲔᲡᲝᲗ ᲓᲠᲝᲨᲘ, ᲛᲐᲚᲐᲚᲮᲐᲠᲘᲡᲮᲝᲕᲜᲐᲓ!

„ᲙᲝᲛᲔᲣᲜᲘᲡᲢᲘ“ ᲙᲘᲡᲐᲓᲘ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘᲗ!

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘ

№ 32

ᲔᲡ ᲡᲣᲠᲐᲗᲘ ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმა მაშინ გადაიღო, როცა ახმეტის რაიონის კიტაურის კოლმეურნეობის ტრაქტორისტი, სახალხო კონტროლის ჯგუფის წევრი შ. შაშვიაშვილი ალაზნის ველზე სასიმინდე ნაკვეთს დასათესად ამუშავებდა.

ფოტო გ. გოგობიანი.

ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘᲝᲠᲔᲑᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲐᲗᲘ

საითაც უნდა გაიხედოთ, საკოლმეურნეო სოფლის რომელ უბანშიც უნდა მოხვდეთ, ყველგან სიხარულით აგვეხებათ გული: გამრჯე კაცი უკვე მინდვრად გავიდა. გაჩაღდა შემოქმედებითი შრომა ხუთწლედის პირველი წლის მიჯნების ასაღებად.

სწორედ ახლა წყდება მომავალი მოსავლის ბედი.

როგორ მოემზადნენ საგაზაფხულო სამუშაოებისათვის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები? რა მდგომარეობაშია ტექნიკა და ხათესლე ფონდი? რა გაკეთდა მექანიზატორთა კვალიფიციური კადრების მოსამზადებლად? სასუქები გატანილია ან გააქვთ მინდვრად? როგორ მიმდინარეობს ხვნა-თესვა? — აი საკითხები, რომელთა გადაჭრა გადაუდებელი სადღეისო საქმეა.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მრავალ ათას მუშაკთან ერთად განსაკუთრებით დიდი და პასუხსაგები ამოცანებია დასახული სახალხო კონტროლის ადგილობრივი კომიტეტების, ჯგუფებისა და საგუშაგოების წინაშე.

ამას წინათ საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტმა მოაწყო იმის მასობრივი შემოწმება, თუ როგორ ემზადებიან კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები საგაზაფხულო თესვისათვის. შემოწმება გრძელდება.

შემოწმების მიზანია ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოებისადმი დახმარება იმაში, რომ შეასრულონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის, სექტემბრის (1965 წ.) და მიმდინარე წლის თებერვლის პლენუმების, საქართველოს კომპარტიის XXIII ყრილობის გადაწყვეტილებანი სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების, ხალხის კეთილდღეობის ამაღლების საქმეში.

შემოწმებისას განსაკუთრებული უურადღება დაეთმო თესლის მომზადებასა და შენახვას, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მომზადებას, საწვავ-საზეთი მასალების საკირო მარაგის შექმნას, მინერალური სასუქების შემოტანას და ადგილობრივი სასუქების დაგროვებას. შემოწმების მონაწილეთა უურადღება მიექცა სამეურნეო ანგარიშის, დაკრედიტებისა და დაფინანსების ახალი წესის დანერგვის საკითხებს, მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის კულტურის აღმავლობის ღონისძიებათა შესრულებას.

როგორც საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტმა აღნიშნა, ჩვენს რესპუბლიკაში თესვისა და სხვა საგაზაფხულო სამუშაოების უზრუნველსაყოფად დროულად იქნა მიღებული ზომები ტრაქტორებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანების შეკეთებისათვის. ტრაქტორის რემონტის გეგმა ჯერ კიდევ 10 თებერვლისათვის გადაჭარბებით შეასრულა რესპუბლიკის 34 რაიონმა. ახლა შორეულ მთიან რაიონებშიც ჩქარი ტემპით მიმდინარეობს გუთნების, კულტივატორების, სათესებისა და სხვა იარაღ-მანქანების რემონტი. ამ დიდმნიშვნელოვანი საქმის დაჩქარებას ხელი შეუწყო საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის მიერ გასული წლის დეკემბერში მოწყობილმა მასობრივმა დათვალიერებამ. შემოწმებამ, ამ მხრივ ბევრი რამ გაკეთდა თელავის, წყალტუბოს, ლაგოდეხის, ახალციხის, წითელწყაროს, თერჯოლის. რაიონებსა და აფხაზეთის ასსრ მეურნეობებში.

სახალხო კონტროლის ადგილობრივმა კომიტეტებმა, ჯგუფებმა და საგუშაგოებმა განსაკუთრებული უურადღება დაუთმეს თესლის მომზადების საქმეს, უველა რაიონში სიმინდის თესლი აუვანილია კონდიციამდე.

საგაზაფხულო თესვის აგროვადებში და მაღალხარისხოვნად შესრულების მიზნით გასული წლის შემოდგომაზე მზრალად მოიხნა 185.600 ჰექტარი, რაც 24.700 ჰექტარით აღემატება წინა წელს მზრალად მოხნული ფართობის რაოდენობას.

მაღალი და მყარი მოსავლის მიღების საქმეში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მინერალური სასუქებით უზრუნველყოფას. მაგრამ რესპუბლიკის სოფლის მეურნეობა საჭირო რაოდენობით ვერ იღებს მინერალურ სასუქებს, ნაკლოვანებებია საწვავ-საცხები მასალებით მომარაგების საქმეშიც.

შემოწმების შედეგების გაცნობისა და პრაქტიკული ღონისძიებების განხორციელების მიზნით უველა რაიონში მოწვეულ იქნა თათბირები სახალხო კონტროლის კომიტეტების თავმჯდომარეთა, ჯგუფების ხელმძღვანელთა, სპეციალისტთა, სასოფლო-სამეურნეო ორგანოების და ადგილობრივი პრესის მუშაკთა მონაწილეობით. ამ თათბირებზე გამოვლინებულ ნაკლოვანებათა სასწრაფოდ აღმოსაფხვრელად დაისახა კონკრეტული ღონისძიებები.

ჩატარებულმა შემოწმებამ ცხადყო, რომ რესპუბლიკის მთელი რიგი რაიონების სახალხო კონტროლის კომიტეტებმა, ჯგუფებმა და საგუშაგოებმა გარკვეული დახმარება გაუწიეს ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს, კარგად მოაწყეს მუშაობა და შექმნეს უველა პირობა საგაზაფხულო სამუშაოების აგროვადებში და მაღალხარისხოვნად ჩატარებისათვის.

ხაშურის რაიონის სოფლის მეურნეობის საწარმოო სამმართველოს, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებმა სახალხო კონტროლის ჯგუფებისა და საგუშაგოების აქტიური მონაწილეობით საგრძნობ წარმატებებს მიაღწიეს საგაზაფხულო სამუშაოების დროულად ჩატარების საქმეში. თითქმის უველა მეურნეობის უზრუნველყოფილია მაქრის ჯარხლის, სიმინდის, კარტოფილის, ლობიოსა და ბოსტნეულის კულტურების თესლით. ორგანიზებულად, წარმატებით მიმდინარეობს ტექნიკის რემონტი. ქვიშეთის მებოსტნეობა-მერძეულეობის საბჭოთა მეურნეობის სახალხო კონტროლის ჯგუფმა (თავმჯდომარე გ. დარსაველიძე) შეისწავლა მეურნეობის თესლით უზრუნველყოფის საკითხი. გამოირკვა, რომ 100 ცენტნერი სიმინდის თესლი არასწორად ინახებოდა, რის გამო მაღალი იყო მის ტენიანობა, ჯგუფმა დააყენა საკითხი მეურნეობის დირექციის წინაშე, რის შედეგადაც სათესლე მასალა ხელახლა იქნა გადარჩეული და შენახულია სათანადო წესების დაცვით. ამყამად მეურნეობა უზრუნველყოფილია საჭირო კონდიციური თესლით.

მარნეულის რაიონის არაფლოს მეტყვა, ჯგუფმა ბევრი რამ გააკეთა გაზაფხულის შესახვედრად. მისი წევრებიც არის, რომ ოქიოს კოლმეურნეობისა და ვაჩიანის საბჭოთა მეურნეობების მშრომელები. მაგრამ ასე როდი ეთქმის ყველაზე.

სოფელ კორხის კოლმეურნეობაში ბოსტნეულობა-მერძეულეობის საბჭოთა მეურნეობის სახალხო კონტროლის ჯგუფმა (თავმჯდომარე ა. იუსუბოვი) შეამოწმა კარტოფილის რგვის მდგომარეობა. დადასტურდა, რომ მიუხედავად თესლის კონტროლის სახელმწიფო ინსპექციის გაფრთხილებისა, მეურნეობის მთავარმა აგრონომმა პ. მამედოვმა დაიწყო არაკონდიციური კარტოფილის თესლის რგვა. სახალხო კონტროლის ჯგუფის წინადადებით მეურნეობის დირექციამ კარტოფილის რგვა შეაჩერა. ხელმეორედ გადაირჩა 5 ტონა სათესლე მასალა, მისი კონდიციამდე აყვანის შემდეგ გაგრძელდა კარტოფილის რგვა. ამავე ჯგუფმა გამოაელინა სიმინდის სათესლე მასალის ცუდად შენახვის ფაქტები. ნაკლი უკვე გამოსწორებულია.

ხობის რაიონის სოფელ ახალი ხიბულის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის სახალხო კონტროლის ჯგუფმა (თავმჯდომარე გ. ხაბურზანია) წლის დასაწყისშივე იმსჯელა საგაზაფხულო თესვისათვის მზადების საკითხებზე. აღინიშნა ჩამორჩენის მიზეზები. დროულად შეავსეს ლობიოსა და სოიის თესლის დანაკლისი, გაწმინდეს და სათეს კონდიციამდე აიყვანეს უველა კულტურის თესლი.

სიღნაღის რაიონის სოფელ ბოდბის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის სახალხო კონტროლის ჯგუფი მოწოდების სიმაღლეზე ვერ დგას. ჯგუფმა იანვარში ღონისძიებანი დასახა საგაზაფხულო სამუშაოთა მზადებისათვის. მაგრამ ტექნიკა უხარისხოდ შეკეთდა. ეს მაშინ, როცა ჯგუფის წევრი კოლმეურნეობის ინჟინერია. ტრაქტორი დტ-54, რომელიც გასული წლის ნოემბერში იყო შეკეთებული, უხარისხო გამოდგა. აღნიშნული მდგომარეობა დეტალურად იქნა შესწავლილი და მომზადდა საკითხი პარტიის რაიონული კომიტეტის ბიუროზე განსახილველად. მიღებულ ზომებს სასურველი შედეგი მოჰყვა.

შემოწმებამ ისიც დაგვანახვა, რომ ზოგიერთი სამინისტროსა და უწყების ხელახლა კონტროლის ჯგუფები ჯერ კიდევ სუსტად მუშაობენ.

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტმა გაითვალისწინა ის მდგომარეობა, რომ რესპუბლიკის ბუნებრივ კლიმატურ თავისებურებებთან დაკავშირებით საგაზაფხულო სამუშაოები ერთიანად ერთდროულად არ მიმდინარეობს, ცხადია, ამ სამუშაოთა დროს ადგილი ექნება ნაკლსაც. ამიტომ კონტროლის ადგილობრივ ორგანოებს დავალებას არ დავამყოფილდნენ გაწეული მუშაობით, განავრძონ შემოწმება და დახმარება საგაზაფხულო სამუშაოთა ვადაზე ადრე, მაღალხარისხოვნად ჩატარებისათვის.

• • •

სკკპ XXIII ყრილობის დირექტივების პროგრამა ახალი ხუთწლიანი გეგმის შესახებ ერთსულოვანი მოწონება და მხარდაჭერა პპოვა ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებში. საქართველოს სოფლის მეურნეობის მუშაკებს, სახალხო კონტროლის კომიტეტების, ჯგუფებისა და საგუშაგოების მრავალ ათას წევრებთან ერთად გადაწყვეტილი აქვთ ამრავლონ ქართული მიწის ბარაქა, პირნათლად, პრაქტიკულად შეასრულონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის, საქართველოს კომპარტიის XXIII ყრილობის გადაწყვეტილებანი.

ᲪᲮᲐᲠᲔᲒᲘ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲗᲐ ᲞᲝᲡᲢᲖᲔ

ᲚᲐᲜᲩᲮᲣᲗᲘᲡ რაიონის სოფელ მამათის კოლმეურნეობის სახალხო კონტროლის ჯგუფმა ამ დღეებში შეამოწმა საგაზაფხულო სამუშაოების მიმდინარეობა. გამოირკვა, რომ მდგომარეობა არცთუ ისე სახარბიელო იყო. მაგალითად, № 2 ბრიგადაში (ხელმძღვანელი კ. სალუქვაძე) ჩაის პლანტაციების საგაზაფხულო ბარვა ჩამორჩენოდა; არც მინერალური სასუქები ჰქონდათ შეტანილი. საკითხი კოლმეურნეობის გამგეობამ განიხილა.

უკეთესი მდგომარეობა არც № 8 ბრიგადაში (ხელმძღვანელი გ. ღლონტი) იყო. აქ განსაკუთრებით უყურადღებოდ ეკიდებოდნენ ახალგაზრდა პლანტაციებს. კოლმეურნეობის პარტიულმა ბიურომ იმსჯელა ამ ფაქტზე და მიღებული ღონისძიების შესრულებაზე მკაცრი კონტროლი დააწესა.

ჯგუფში 44 სახალხო კონტროლიორია, რომლებიც ფხიზლად ადევნებენ თვალყურს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების მიმდინარეობას. ახლა მთავარი ის არის, რომ საუკეთესო აგროვადებში დავთესოთ ერთწლიანი კულტურები.

ბ. ჩიკაშუა,
ლანჩხუთის რაიონის მამათის კოლმეურნეობის სახალხო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარე.

ᲠᲝᲛ ᲛᲝᲛᲙᲐ, ᲡᲝᲛ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲗᲔᲡᲝ?!

ᲐᲓᲠᲔᲣᲚᲘ გაზაფხულის მზიან დღეებში იმვიათად თუ ნახავთ უქმად მყოფ კაცს. ყველას თავისი საზრუნავი აქვს. დუშეთის რაიონის სოფლების ბაზალეთისა და მჭადიჭრის კოლმეურნეობებში უკვე დამთავრდა თავთავიანი კულტურების თესვა. მიმდინარეობს მზადება სიმინდის თესვისათვის.

ამავე დროს ამ რაიონის ზოგიერთი კოლმეურნეობის ხელმძღვანელი სრულ უმოქმედობას იჩენს. მაგალითად, ლაფანაანთკარის კოლმეურნეობაში დღემდე ორმოცი ცენტნერი ქერის თესლი არა აქვთ. ქერის თესლი აკლიათ აგრეთვე გრემისხევში, არღუმში, ახანურში, არაგვისპირში...

ასევე ჩამორჩენიან ხეობელებიც.

გავახსენებთ ამ კოლმეურნეობების ხელმძღვანელებს ხალხურ სიბრძნეს: რასაც დათესავ, იმას მოიმკი...

მ. ᲕᲝᲜᲯᲘᲙᲐᲫᲔ, მ. ᲬᲐᲛᲐᲚᲐᲘᲫᲔ, ნ. ᲕᲘᲙᲐᲘᲫᲔ, Ო. ᲙᲝᲖᲢᲐᲨᲕᲘᲚᲘ, დუშეთის რაიონის არაგვისპირის, ხეობის, ანანურის და ბაზალეთის კოლმეურნეობათა სახალხო კონტროლის ჯგუფების თავმჯდომარეები.

„ᲙᲝᲛᲔᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲠᲔᲘᲓᲘ

ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲐ-ᲘᲐᲠᲐᲦᲚᲔᲑᲡ ᲐᲡᲔ ᲣᲜᲓᲐ ᲰᲐᲒᲠᲝᲜᲝᲑᲐ?

ᲐᲮᲐᲚᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ რაიონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა წელს უნდა დათესონ 24.431 ჰექტარი საგაზაფხულო კულტურები, აქედან 10.283 ჰექტარი ქერი და ხორბალი, 9.507 ჰექტარი შვრია, ერთწლიანი ბალახი და პარკოსანი კულტურები, 2.783 ჰექტარი კარტოფილი და ბოსტნეული, 1.318 ჰექტარი საკვები ძირხვენები და სასილოსე კულტურები.

წელს ახალქალაქელები ცუდად რიდი მოემზადნენ თესვისათვის. შეაკეთეს 123 ტრაქტორი ბაცალად გეგმით გათვალისწინებული 91-ის და 51 სათესი მანქანა ნაცვლად 50-ისა. მიმდინარედ გაიტანეს 42 ათას ტონაზე მეტი ორგანული სასუქი. საგაზაფხულოდ გადახნეს 4.000 ჰექტარი. რაიონის ბევრი საზოგადოებრივი მეურნეობა სრულად მომზადებული შეხვდა საგაზაფხულო სამუშაოებს.

ჩვენი სარეიდო ბრიგადა ეწვია ჯერ სოფელ დილისკის კოლმეურნეობას (თავმჯდომარე ა. **გრიგორიანი**), შემდეგ ოქმის საბჭოთა მეურნეობას (დირექტორი **ო. ალელიშვილი**). ეს ორივე საზოგადოებრივი მეურნეობა მოწინავეთა რიგებშია უკანასკნელი წლების მანძილზე.

დილისკაში წელს 1.576 ჰექტარი საგაზაფხულო კულტურები უნდა დათესონ, ოქმის საბჭოთა მეურნეობაში — 2.182 ჰექტარი. დილისკელები და ოქმელები დროულად შეუდგნენ მიწის გადახნვა-დამუშავებას. მინდვრად საკარტოფილე ნაკვეთებში გაიტანეს ათასობით ტონა ორგანული სასუქები, საკმარისად მოამზადეს და სათეს კონდიციამდე აიყვანეს საგაზაფხულო კულტურების სათესლე მასალა. შეაკეთეს და თესვისათვის გაამზადეს ტრაქტორები, გუთნები, კულტივატორები, სათესები, ფარცხები.

საგაზაფხულო თესვას მომზადებული შეხვდნენ სოფლების ხელგუმოს, ხანდოს, ბურნაშევთის, კოჩიოს კოლმეურნეობებისა და ვაჩიანის საბჭოთა მეურნეობების მშრომელები. მაგრამ ასე როდი ეთქმის ყველაზე.

სოფელ კორხის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ვ. ათანიანი) ძალიან დაგვიანებით შეუდგნენ თესლის გაწმენდას. ჯერ არ დაუთავრებიათ მინდვრად სასუქების გატანა. მაგრამ რასაც ჩვენ აქ ტექნიკის დათვალიერებისას წავაწყდით, იმან ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ერთ ამაღლებულ მინდორზე ღია ცისქვეშ ტალახში უწესრიგოდ და უპატრონოდ ეყარა დაშლილ გუთნები, რომდენიმე ტრაქტორი, ხუთთოდე სათესი მანქანა, ორი კარტოფილსარგავი და აქა-იქ გაბნეული რკინის ჯართი.

—„ხუთუ სულ ეს არის მათი ტექნიკა?“ — გავიფიქრეთ და მექანიზატორთა ბრიგადარს ა. **ავაქიანსა** და ალმრიცხველს **ვ. თოფუზიანს,** რომელიც მაშინ თავმჯდომარის მოვალეობას ასრულებდა, ვკითხეთ:

— სადა გაქვთ ავტომანქანები? ტრაქტორები? გუთნები?

— აქ დარაჯი არა გვყავს და მექანიზატორებს იარაღ-მანქანები თავიანთ კარზე უყენიათ. გვიპასუხა ა. ავაქიანმა.

— კი მაგრამ — ამ **სათესი** მანქანების დაკარგვისა აღარ გეშინიათ? ესეც ხომ თქვენია?

— სათესლის ნაწილები ვის რათ უნდა, რაში უნდა გამოიყენონ? აგერ მთელი ზამთარი ასე უპატრონოდ ეყარა და არავის ხელი არ უხლია.

ასე გვიპასუხეს ა. ავაქიანმა და ვ. თოფუზიანმა!

კორხელების მსგავსად სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანებს ცუდად უვლიან აგრეთვე ბრტენის (თავმჯდომარე **პ. მელიქიძე**) და ჩუნჩხის (თავმჯდომარე **შ. ლონდარიძე**) კოლმეურნეობების მექანიზატორები. არც ამ კოლმეურნეობებში აქვთ იარაღ-მანქანების ფარდულები. ტექნიკა ღია ცის ქვეშ უძანგდებათ და უფუჭდებათ.

საგაზაფხულო ხვნა-თესვისათვის ცუდად მოემზადნენ ახალგორის (თავმჯდომარე **ხ. გრიგორიანი**), ალასტნის (თავმჯდომარე **ხ. მარქარიანი**), ოლაქერდის (თავმჯდომარე **ა. გრიგორიანი**), კუმურდოს (თავმჯდომარე **ვ. კურგანიანი**) კოლმეურნეობები. თესვა დაიწყეს, მაგრამ მათ ჯერ კიდევ არა აქვთ დამთავრებული საკარტოფილე ნაკვეთებში სასუქის შეტანა და სათესლე მასალების გაწმენდა-შემოწმება.

რაიონის თესლის კონტროლის ლაბორატორიაში, რომ იტყვიან თაგვი კუდს ვერ მოიქნევსო, ისეთი სიცივეოვეა. მთელი ლაბორატორია თესლის ნიმუშებს უჭირავს. ლაბორატორიის მუშაკები მუშაობისთვის არახრმალურ პირობები ჰავარდნილან, და ეს იმიტომ, რომ რაიონის ბევრმა კოლმეურნეობამ (ტორცხი, ალათუბანი, არაგვა, გომანი, კოლელი, ბაღელი და სხვ.) თავის დროზე არ იზრუნეს თესლის გაწმენდისათვის და ახლა, როცა თესვა კარს მოადგათ, ყველამ ერთბაშად მიიტანა სათესელ მასალის ნიმუშები შესამოწმებლად. ამის გამო ზოგიერთი კოლმეურნეობის სათესლე მასალა ჯერ კიდევ არ არის შემოწმებული. ამაში ბრალი მიუძღვით თვით ლაბორატორიის მუშაკებსაც, რომლებმაც თავის დროზე არ მიხედეს საქმეს. მარცვლეული კულტურების მთელი სათესლე მასალიდან რაიონში შემოწმებული და კონდიციამდე აყვანილია 26.117 ცენტნერი, ანუ გეგმის 86.4 პროცენტი.

სათესლე მასალის გაწმენდის საქმეში უდარდელობას იჩენენ სულიდის საბჭოთა მეურნეობაში (დირექტორი **ხ. მამულიანი**), სადაც მომარაგებული 1.850 ცენტნერი მარცვლეული კულტურების სათესლე მასალიდან გაწმენდილია მხოლოდ 600 ცენტნერი.

ერთწლიანი ბალახის თესლი აკლიათ პატარა სამსრისა და ბარალეთის კოლმეურნეობებს. საკვირველია, ამ კოლმეურნეობათა ხელმძღვანელები როდისღა აპირებენ თესლის შეძენას?

შემოწმების დროს ზოგიერთ კოლმეურნეობაში საკალაოდ გამოიყურეობოდა სათესი მანქანების რემონტი. ამაში ბრალი მიუძღვის „საქსოფლტექნიკის“ რაიონულ განყოფილებას (მმართველი ა. პაპაძეანი), რომელმაც თავის დროზე არ იზრუნა სათესი და სხვა იარაღ-მანქანებისათვის საჭიროი სათადარიგო ნაწილებზე მომარაგებაზე.

— სადაც აოის, თესვა მასობრივად გაჩაღდება — როდისღა აპირებთ დარჩენილი სათესების შეკეთებას? — ვკითხეთ „საქსოფლტექნიკის“ რაიონული განყოფილების მმართველის მოადგილეს ვ. ტაშჩიანს, რომელიც ამ რეიდის მონაწილეა.

— რა ვქნათ, ზოგიერთი სათადარიგო ნაწილი სულ არა გვაქვს. „საქსოფლტექნიკის“ რესპუბლიკურ გაერთიანებას რამდენჯერ გავუგზავნეთ მოთხოვნა, მაგრამ ყურადღება არ მოგვაქცია, — გვიპასუხა მან და დაგვისახელა სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების 25-მდე სხვადასხვა ნაწილი, რომელთა მწკავე ნაკლებობას განიცდიან რაიონში. ამასთან ერთად რაიონის კოლმეურნეობათა უმეტესობას მანქანების შესანახი ფარდული არა აქვს.

დრო არ ითმენს. საჭიროა არ დაკავგოთ არც ერთი დღე, არც ერთი საათი. შემჩნეული ნაკლოვანებანი დაუყოვნებლივ უნდა გამოსწორდეს.

აგროვადებში, მაღალხარისხოვნად დავთესოთ საგაზაფხულო კულტურები!

ᲠᲔᲘᲓᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲘ: პ. ᲗᲝᲤᲣᲖᲐᲚᲘᲐᲜᲘ — სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტის **წევრი; Თ. ᲒᲐᲒᲜᲘᲫᲔ** — „საქსოფლტექნიკის“ **რაიონული** განყოფილების **მმართველი; Თ. ᲛᲘᲜᲘᲫᲔᲚᲘᲐᲜᲘ** — სოფლის **მეურნეობის სამმართველოს მთავარი აგრონომი; პ. ᲐᲛᲘᲜᲘᲫᲔᲚᲘᲐᲜᲘ** — **კარტალინის კოლმეურნეობის კონტროლის ხელშემწყობი ჯგუფის თავმჯდომარე; ტ. ᲒᲐᲠᲜᲘᲜᲘᲫᲔ** — **რაიონული გაზეთის რედაქციის განყოფილების გამგე; შ. ᲛᲐᲘᲡᲣᲠᲐᲫᲔ** — „**კომუნისტის**“ **საკ. კორ.**

ᲛᲘᲬᲐ ᲔᲠᲗᲜᲐᲘᲠᲘᲐ, ᲛᲝᲡᲐᲕᲐᲚᲘ ᲙᲘ...

ᲐᲛᲛᲔᲒᲘᲡᲐ და ჭერმების აყვავებულ ხეივნებს იქით, ქრისტაურელთა (ახმეტის რაიონი) ყანებში ტრაქტორის გუგუნი ისმის, ეუახლოვდებით მას და ტრაქტორიდან მხიარული, ბრგე ვაჟკაცი შ. შაშვიაშვილი გვესალმება.

—განთიადისას შაშვების პირველ ჭიკჭიკს ასწრებს შაშვიაშვილი, — ამბობს კოლმეურნეობის თავმჯდომარე შ. ერისთავი. — სანამშუმი იყო იმ დღესაც მექანიზატორის შიერ გადახნული ველი, მას მხარს უსწორებდა ტრაქტორისტი ა. ბოქუაშვილი.

თავმჯდომარემ ისიც გვითხრა, რომ შაშვიაშვილს ოხრელი თვალი და ყური აქვს. ეს ტრაქტორისტი სახალხო კონტროლის ხელშემწყობი ჯგუფის წევრია. ჯერ კიდევ ზამთრის დასაწყისში შეამოწმა იარაღ-მანქანების საგაზაფხულო სამუშაოებისთვის მზადყოფნის, თესლის მომზადების, მინდვრად .სასუქის გატანის მდგომარეობა.

მისი შენიშვნების გათვალისწინება დაეხმარა კოლმეურნეობას ყოველმხრივ მომზადებული შეხვედროდა გაზაფხულს. აქ უკვე დათესეს ბოსტნეული, მზესუმზარა...

ტრაქტორისტმა შ. შაშვიაშვილმა შარშან 260 კილოგრამი საწვავი დაზოგა, წელს კი გადაწყვეტილი აქვს 400 კილოგრამი დაზოგოს. სახალხო კონტროლის ხელშემწყობი ჯგუფის თავმჯდომარე ი. ბეზალაძე, წევრები გ. დურგლიშვილი და მ. ისმაილოვი სოფლის სიამაყე არიან.

ქრისტაურის კოლმეურნეობას საგაზაფხულო სამუშაოების ვადამდე მაღალხარისხოვნად შესრულებისათვის ბრძოლაში არ ჩამორჩება მისი მეზობელი ოქიოს კოლმეურნეობა, რომლის თავმჯდომარე მექანიზატორი ა. გავარდაშვილი მდინარის პირას ვნახეთ. იგი ტრაქტორს ჩაპკირკეტებდა. ტუეილად როდი ეწოდებენ მას ტრაქტორების მკურნალს.

კოლმეურნეობის ოხუთმეტვე ტრაქტორი ალაზნის ველს შესვენია. სასიმინდედ ამზადებენ ნოყიერ მიწას. აქ უკვე დამთავრდა 30 ჰექტარზე მზესუმზრის თესვა. დათესეს ბოსტნეულიც.

საერთო-სახალხო შრომაში მაგალითის მომცემია მევენახეობა-მემინდვრეობა ეოსეფ ბრიგადა, რომელსაც სახალხო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარე გ. გოდერძიშვილი ხელძღვანელობს.

ამ ჯგუფმა ბევრი რამ გააკეთა გაზაფხულის შესახვედრად. მისი წევრებიც არის, რომ ოქიოს კოლმეურნეობა მთელ რაიონში ქრისტაურელებთან ერთად მოწინავეა, თითით საჩვენებელია.

ᲐᲛ ᲤᲝᲢᲝᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲖᲔ თქვენ ხედავთ სოფელ ახშაანის კოლმეურნეობის იარაღ-მანქანებს, რომლებიც უპატრონოდ ღია ცისქვეშ ჰყრია.

სწორედ ამ ორი კოლმეურნეობის შუა მდებარეობს სოფელი ახშაანი.

კოლმეურნეობის კანტორის დანგრეულ კიბეზე რომ აღარაფერი ეთქვათ, პირდაპირ სამარცხვინო სურათი გადაგეშლებათ ეზოში. ღია ცის ქვეშ ტალახშია ჩაფლული ნაწილებშემოძარცული ტრაქტორი „ბელარუსი“, აქვეა 1965 წელს მიღებული ტრაქტორი დტ-75, იგი ეკვსი თვეა უქმად დგას და გატეხილ ნაწილს ელოდება.

ეზანი მოჰკიდებია ტალახში ჩაფლულ, შარშან მიღებულ ძეერფას სათესი მანქანის მოწყობილობას.

რას ფიქრობენ ახშაანის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვ. ყარმაზიშვილი, პარტორგანიზაციის მდივანი ფ. ქოზაშვილი! გაზაფხულმა მათ კარზეც მიუკაკუნა — განა ასე უნდა გიყურებდეთ სახალხო საქმე, სოფლის თავაცებო?!

ამ კოლმეურნეობაში სახალხო კონტროლის ხელშემწყობი ჯგუფი (თავმჯდომარე ა. ციგრაშვილი) მხოლოდ ქაღალდზეა. მას არ შეუმოწმებია გაზაფხულისათვის მანქანა-იარაღების მზადყოფნის, თესლის მომზადების საქმე, კოლმეურნეობის კედლის გაზეთი (რედაქტორი მ. ბეწუკელი) კი ამ ნაკლოვანებებს „ვერ ამჩნევს“.

ახშაანის მკვიდრმა, გამრჯე კოლმეურნე დ. თედიაშვილმა გულისტკივილით გვითხრა:

— ასეთი მუშაობით საქმე შორს ვერ წავა, დროა ჩვენმა სოფელმაც მეზობლებს — ქრისტაურსა და ოქიოს მიბაძოს ნაყოფიერ შრომაში.

ჩვენც ამ აზრისა ვართ. ახმეტაში მისაბაძი და საგანმეორო კოლმეურნეობა კი ბევრია.

Ა. ᲒᲝᲪᲘᲠᲘᲫᲔ,
Ლ. ᲥᲝᲩᲚᲐᲫᲔ,
Გ. ᲒᲝᲒᲝᲜᲘᲐ,
„ᲙᲝᲛᲔᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲡᲞᲔᲪ. ᲙᲝᲠ.

ᲓᲠᲝ ᲐᲠ ᲘᲗᲛᲔᲜᲡ!

ᲗᲕᲐᲚᲬᲘᲠᲛᲐᲪᲘ ᲮᲔᲝᲑᲐᲨᲘ, სადაც ამბროლაურის რაიონის მთავარი საკოლმეურნეო სოფლებია, მზიანი ამინდები დადგა.

საგაზაფხულო სამუშაოებისათვის სანიმუშოდ მოემზადა სადმელის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე Ო. მუსსრიძე). აქ წელს სიმინდს 63 ჰექტარზე დათესავენ. 50 ჰექტარი ნიადაგი მზრალად არის მოხნული, აქვთ კონდიციური თესლი.

ეს კოლმეურნეობა რესპუბლიკის მთელი რიგი რაიონებისათვის ამზადებს საუკეთესო ჯიშის სიმინდის თესლს. 35 ტონა თესლი უკვე გამზადებულია გასაგზავნად. ხუთი ტრაქტორი მზად არის. ამ დღეებში სამანქანო პარკს სიმინდის სათესი ახალი მანქანა შეემატება.

მომდინარე სამუშაოებისათვის ორგანიზებულად მოემზადნენ წესის (თავმჯდომარე რ. ნატმელაძე) და ხიდიკრის (თავმჯდომარე Ო. ᲑᲝᲪᲘᲠᲘᲫᲔ) კოლმეურნეობები.

მოწინავეთა კარგი საქმეები მოსაწონია, მაგრამ რეიდის მონაწილეებმა საგულისხმო ნაკლოვანებაც გამოავლინეს.

ავიღოთ ერთი ფაქტი. მეკენასეებს ვაზი შპალერზე გადაჰყავთ. ამ მიზნით რაიონში შემოზიდულ იქნა 10.000 ცალი რკინაბეტონის ბოძი. ეს კარგია. მაგრამ მეკენასეებმა მაინც ვერ გამოიყენეს ზამთრის ხელსაყრელი ამინდი ამ სამუშაოს შესასრულებლად. შპალერზე ვაზის გადაყვანას აფერხებს მოოთეთებული მავთულის უქონლობა. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ამბროლაურის რაიონს გამოუყო 64 ტონა ლითონის მავთული, მაგრამ „საქსოფლტექნიკის“ ქუთაისის სავაჭრო შემოზიდვის ბაზას იგი არა აქვს.

საკოლმეურნეო სამეჯდელოების ერთ ნაწილს აკლია სხვადასხვა ზომის რკინისა და ფოლადის ზოდები. ნიკორწმინდისა და ლიხეთის კოლმეურნეობების მესვეურები ხშირად მიდიან „საქსოფლტექნიკის“ ამბროლაურის გაერთიანების საწყობში, მაგრამ იქ რკინა არა აქვთ. ადგილზე ეს იწვევს წვრილი სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის რემონტის გაჭიანურებას.

— საგაზაფხულო ხვნა-თესვა თავის დროზე რომ შეასრულდეს, — გვეუბნება ამბროლაურის რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსი Თ. ᲑᲐᲑᲣᲠᲐᲫᲔ, — სულ ცოტა 60 ტონა საწვავი გვესაჭიროება ტრაქტორებ

საერთაშორისო ცხოვრება

გვირგვინებით შეამკეს კარლ მარქსის საფლავი

ლონდონი, 15 მარტი. (საკდესი). გუშინ შესრულდა კარლ მარქსის გარდაცვალების 83 წლისთავი.

დიდი ბრიტანეთის კომუნისტური პარტიის ერთ-ერთი უხუცესი მოღვაწე პალმ დატი მივიდა ჰაიგეიტის სასაფლაოზე, სადაც დაკრძალულია საერთაშორისო პროლეტარიატის ბელადი, და პარტიის სახელით გვირგვინით შეამკო მისი საფლავი.

პალმ დატმა აღნიშნა, რომ „მარქსს ყოველთვის მჭიდრო კავშირი ჰქონდა ინგლისთან და ინგლისის მუშათა მოძრაობასთან". მან თქვა აგრეთვე, რომ ინგლისის მუშათა კლასის გაერთიანებულ მოძრაობას მარქსმა უწვინა წინსვლის, კაპიტალისტური ექსპლოატაციისა და სიღატაკის აღმოფხვრის, სოციალიზმის განხორციელების გზა.

კარლ მარქსის საფლავი გვირგვინით შეამკო აგრეთვე ჯოკ ნიკოლსონმა, პარლამენტის წევრობის კანდიდატმა კომუნისტური პარტიისაგან ნორტ სენტ-პანკრასის ოლქში, სადაც მდებარეობს ჰაიგეიტის სასაფლაო.

ხალხთა მეგობრის ინტერესებისათვის

ნიუ-იორკი, 14 მარტი. (საკდესი). უნგრეთმა და რუმინეთმა მხარი დაუჭირეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მიმართვას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრად მისი მიღების შესახებ. წერილები, რომლებშიც აღნიშნულია ეს მხარდაჭერა, გაავრცელეს როგორც უშიშროების საბჭოს ოფიციალური დოკუმენტები. წერილებში ხაზგასმულია, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა სუფერენული და დამოუკიდებელი სახელმწიფოა, რომელიც ახორციელებს მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის პოლიტიკას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების პრინციპების შესაბამისად. გაერთიანებული ერების ორგანიზაციამი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მიღება, ნათქვამია დოკუმენტებში, ხელს შეუწყობს ამ საერთაშორისო ორგანიზაციის განმტკიცებას.

მტკიცე პროტესტი

ჰანოი, 14 მარტი. (საკდესი). ამერიკის თვითმფრინავები, რომლებსაც ბახა აქვთ ამერიკის მე-7 ფლოტის ხომალდებსა და სამხრეთ ვიეტნამისა და ტაილანდის აეროდრომებზე, 12 და 13 მარტს კვლავ შეეხეთნენ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის სამხეთრო სივრცეში, დაბომბეს და ცეცხლი დაუშინეს ქალაქ ვინს, აგრეთვე მჭიდროდ დასახლებულ რაიონებსა და სამრეწველო ობიექტებს ლაიტიაუს, თხანპოის, ნგეანის, ხატინის, კუანგბინის პროვინციებში ამერიკის თვითმფრინავებმა დაბომბეს აგრეთვე კუნძული კონკო და ცეცხლი დაუშიხეს ბენადერთა ნავებს ჰაიპაუს რაიონში (ნამხის პროვინცია).

ამერიკის მხედრიონის ამ ახალ პროვოკაციებად დაკავშირებით ვიეტნამის სახალხო არმიის უმაღლესი სარდლობის კავშირის მისიამ მტკიცე პროტესტი გაუცხადა ვიეტნამის სამეთვალყურეო და საკონტროლო საერთაშორისო კომისიას. ამას იუწყება ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო.

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკა. ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო ძალების კაპიტანი ნ. გლაბი, რომელიც ტყვედ ჩაიგდეს ვიეტნამის სახალხო არმიის მებრძოლებმა და ადგილობრივმა მცხოვრებლებმა. მისი თვითმფრინავი კუანგბინის პროვინციაში საზენიტო არტილერიამ ჩამოაგდო.

ფოტო ვია-საკდესისა.

ჩვენს მეგობრებთან

წარმატებანი სოფლად

ბელგრადი, უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში იუგოსლავიის სოფლის მეურნეობის განვითარებაში მიღწეულია მნიშვნელოვანი შედეგები, ნათქვამია იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის აღმასკომის აქ გამოქვეყნებულ გადაწყვეტილებაში, რომელიც განიხილა იუგოსლავიის სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების აქტუალური საზოგადოებრივ-ეკონომიური და პოლიტიკური პრობლემები.

ამ პერიოდში სასოფლო-სამეურნეო წარმოების მოცულობა საშუალოდ ყოველწლიურად დიდდებოდა 4,5 პროცენტით.

ამასთან, აღნიშნულია გადაწყვეტილებაში, სოფლის მეურნეობა ჩამორჩება ეკონომიკის სხვა დარგების განვითარებას, ჯეროვნად ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას პროდუქტებზე.

საჭიროა, ნათქვამია გადაწყვეტილებაში, რომ ჩვენს სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკას კვლავაც საფუძვლად ედოს საზოგადოებრივი სექტორის გაფართოება და განმტკიცება, მშრომელთა ორგანიზაციების საწარმოო თანამშრომლობის განვითარება ინდივიდუალურ მწარმოებლებთან, წარმოების ინტენსიფიკაცია და შრომის ნაყოფიერების ამაღლება, შრომის მიხედვით განაწილების გამოყენების პრინციპის თანამიმდევრული გამოყენება და სოციალისტური საზოგადოებრივი ურთიერთობის განმტკიცება.

გულგარეთის ტელევიზია

სოფია. შავი ზღვის სანაპიროზე, „მზის ნაპირას" საკურორტო კომპლექსის მახლობლად, დაიწყო ახალი სარეტრანსლაციო სატელევიზიო სადგურის მშენებლობა. ასეთი სადგურების მშენებლობა წარმოებს ბულგარეთის სხვა რაიონებშიც. ველიკო-ტირნოვოში საბჭოთა სპეციალისტების დახმარებით შენდება ახალი დიდი საწარმო, რომელიც ყოველწლიურად გამოუშვებს 250 ათას ტელევიზორს.

გაზრდა „ბაზაფხული-66"

ვარშავა. პოზნანში გაიხსნა სრულიად პოლონეთის მეჩვიდმეტე ბაზრობა „გაზაფხული-66", რომელზეც 6,5 ათასმა ქარხანამ და ფირმამ, სავაჭრო და კოოპერაციულმა ფირმამ წარმოადგინა 27 მილიარდი ზლოტის საქონელი. ეს არის ყველაზე დიდი ბაზრობა, რომელიც კი აქ ოდესმე გამართულა. მას უკვეთა 60 ათასი კვადრატული მეტრი ფართობი. გამოფენაზე დაიდება მრავალი ხელსაყრელი გარიგება სხვადასხვა საწარმოს შორის. (საკდესი).



შეწყდეს ამერიკის ჩარევა ლაოსის საქმეებში

მიმდინარე წლის 11 მარტს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ლაოსის შესახებ ჟენევის 1962 წლის თათბირის მონაწილე ქვეყნებს გაუგზავნა ერთ-ერთ ... ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის, ლაოსის ეროვნული ერთიანობა ... ბინეტის თავმჯდომარის მოადგილის პრინც სუფანუვონგის 1966 წლის 15 იანვრის ნოტა და ნეო ლაო ხაკ სატის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, ლაოსის ინფორმაციის, პროპაგანდისა და ტურიზმის მინისტრის, ლაოსის შესახებ ჟენევის 1962 წლის შეთანხმებათა შესრულების სახელმწიფო კომისიის წევრის ფუმი ვონგვიჩიტის 1966 წლის 1 თებერვლის დეკლარაციები. ლაოსის შესახებ ჟენევის 1961-1962 წლების თათბირების ერთ-ერთი თანათავმჯდომარის — საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრისადმი ნოტასა და დეკლარაციაში ყურადღებას მიაპყრობენ იმას, თუ რა სერიოზულად მწვავდება ვითარება ლაოსში, რაც გამოწვეულია იმით, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ლაოსში ჯარების შეყვანას აპირებენ ინდოჩინეთის ომის გაფართოების მიზნით.

ამერიკის შეერთებულ შტატებს განზრახული აქვთ, ნათქვამია სუფანუვონგის ნოტასა და ვონგვიჩიტის დეკლარაციაში, ხელი იგდონ შუა და ქვემო ლაოსის რაიონები, გადააქცევინონ ისინი პლაცდარმად ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკისა და სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის წინააღმდეგ. საიგონში შემუშავებულია გეგმა იმისათვის, რომ ამა წლის შემოდგომაზე ლაოსში შეიყვანონ 50 ათასი ამერიკელი ჯარისკაცი. სამხრეთ ვიეტნამში განლაგებულმა ამერიკის შეერთებული შტატების ჯარებმა უფლება მიიღეს საომარი მოქმედება გადაიტანონ ლაოსის და კამბოჯის ტერიტორიაზე. მოქმედებენ ამერიკელ იმპერიალისტთა მითითებით, მემარჯვენე დაჯგუფებამ შუა და ქვემო ლაოსის რაიონებში თავი მოუყარა მნიშვნელოვან ძალებს და ცდილობს ხელი ეყოს ლაო ხაკ სატის კონტროლს დაქვემდებარებული რაიონები. ამავე დროს ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო ძალებისა და საიგონის მარიონეტული რეჟიმის რეაქტიული თვითმფრინავები ყოველდღე 300-მდე თვითმფრინავ-გაფრენას აწყობენ, ათასობით ტონა ბომბს აფენენ სამოქალაქო მოსახლეობასა და სეროიზულ მატერიალურ ზარალს აყენებენ.

ეს აგრესიული აქტები, ხაზგასმით აღნიშნულია სუფანუვონგის ნოტაში, აშკარა დარღვევაა ლაოსის ნეიტრალიტეტის შესახებ დეკლარაციისა, რომელსაც ხელს აწერს აძერიკის შეერთებული შტატების მთავრობაც, რომელმაც ფეხქვეშ გათელა ლაოსის სუვერენიტეტი, დამოუკიდებლობა და ტერიტორიული მთლიანობა. ამ მოქმედებით შეერთებულმა შტატებმა კიდევ უფრო გააუარესეს ლაოსის უიმისოდაც რთული ვითარება და სერიოზული საფრთხე შეუქმნეს ინდოჩინეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების უშიშროებას.

პრინცი სუფანუვონგი და ვონგვიჩიტი ნეო ლაო ხაკ სატის სახელით გადაჭრით გმობენ ამერიკელ იმპერიალისტთა მოქმედებას და მოითხოვენ დაუყოვნებლივ მოეღოს ბოლო მათს ჩარევას ლაოსის საქმეებში. ისინი სთხოვენ თანამთავმჯდომარეებს გააცნონ ლაოსის შესახებ ჟენევის 1961-1962 წლების თათბირების მონაწილე ქვეყნების მთავრობებს, თუ რა საშიში ზრახვები აქვთ ამერიკელ იმპერიალისტებს.

სხვადასხვა მეридიანზე

△ იაპონიის სოციალისტურმა პარტიამ გადაჭრით დაგმო პრემიერ-მინისტრი სატო, რომელმაც განაცხადა, რომ გარკვეულ პირობებში შეიძლება იაპონიამ თავდაცვის ჯარები გაგზავნოს ოკინავაში.

უპასუხა რა პარლამენტში დეპუტატთა შეკითხვებზე, პრემიერ-მინისტრმა თქვა, რომ თუ ოკინავას თავს დაესხმიან, იაპონია დაიცავს მას იარაღით.

სოციალისტურმა პარტიამ მოითხოვა, რომ სატომ უარი თქვას ამ განცხადებაზე, და აღნიშნეს, რომ სანამ ამას არ იზამს, სოციალისტი დეპუტატები ბოიკოტს გამოუცხადებენ ყველა კომიტეტის მუშაობას პარლამენტის ორივე პალატაში.

△ გაზრდაცვალა კიდევ ერთი მუშა, რომელიც მძიმედ დაიჭრა შეტაკების დროს „სალვადორის" სპილენძის მაღაროში 11 მარტს. მუშების ამ ხოცვა-ჟლეტის შედეგად, რომელიც მთელი ეს ქვეყანა შეაძრწუნა, დაიხოცა 8 კაცი. როგორც გაზეთი „ელარინი" იუწყება, 37 დაჭრილიდან 11 დაჭრილი სიკვდილის პირას არის.

„ელარინი" ბეჭდავს ავრეთვე ჟურნალისტ რამბერტო ავილერის რეპორტაჟს, რომელიც მადაროში ჩამოვიდა ტრაგიკული ამბების შემდეგ. კერძოდ, იგი წერს, რომ ქალების ჯგუფი მიეახლოვდა მსროლელებს და შეწყალებას სთხოვდა. ამის პასუხად ერთ-ერთმა ჯარისკაცმა მოკლა 35 წლის ლეოპოლდინა ჩაპარო, სამი შვილის დედა, რომელიც ფეხმძიმედ იყო მეოთხე შვილზე.

△ პერუელ პატრიოტს ექტორ ბეხარს სიკვდილის საფრთხე ემუქრება. იგი დაიპატიმრეს რამდენიმე დღის წინათ ქალაქ ლიმაში, როცა სამეფიანთ დასმარებას ითხოვდა.

პერუს მთავრობამ განაცხადა, რომ ბეხარს დახვრეტენ პარტიზანულ მოძრაობაში მონაწილეობისათვის.

△ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ინფორმაციის სტატისტიკურ ეროვნულ ბიუროს ფონ ბაზემ, რომელიც გამოვიდა ბონში პრეს-კონფერენციაზე, პრაქტიკულად უარყო საფრანგეთის მთავრობის წინადადებანი „ნატოს რეფორმის" შესახებ. მან აღიარა, რომ ოფიციალური ბონი მოითხოვს ამ სამხედრო ბლოკის შენარჩუნებას. „ამაზეც კი, თუ „საფრანგეთი არ იქნება მისი მონაწილე", ფონ ბაზემ ხაზი გაუსვა აგრეთვე, რომ თავის პოლიტიკაში ოფიციალური ბონი კვლავინდებურად ხელმძღვანელობს იმით, რომ „საჭიროა შეეინარჩუნოთ ნატო და თანამშრომლობა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორისო".

△ ვენესუელის ეროვნული განთავისუფლების შეიარაღებული ძალების ... ბორტუგესის შტატში ჩაუსაფრდა არმიის პატრულს. ამას იუწყება ასოშიეიტედ პრესის საგენტოს კარაკასელი კორესპონდენტი. სროლის შედეგად დაბოცილია ერთი ოფიცერი, რვა ჯარისკაცი და სამოქალაქო პირი, რომლებიც პატრულს ახლდნენ. განაცხადა შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ ლუის ვერა გომესმა.

მდგომარეობა ინდონეზიაში

ნიუ-იორკი, 14 მარტი. (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის საგენტოს სინგაპურელი კორესპონდენტი ჯონ კენტიელი გვატყობინებს:

აქ მიღებული ცნობებით, ინდონეზიის ახალმა სამხედრო ხელისუფლებამ დაპატიმრეს კაბინეტის 16 მინისტრი.

აქ ჩამოსულ საქმეს გაცნობილ პირთა ამ ცნობებში ნათქვამია, რომ დაპატიმრეს აგრეთვე რამდენიმე თვალსაჩინო პოლიტიკური მოღვაწე, დაპატიმრებულთა შორის არიან პრემიერ-მინისტრის სუბანდრიოს პირველი მოადგილე, პრემიერ-მინისტრის საელჩის მესამე მოადგილე, ინფორმაციის მინისტრი აჰმადი, სასკოლო განათლების მინისტრი სუმარჯო. დაპატიმრებულია აგრეთვე თვალსაჩინო პოლიტიკური მოღვაწე ალი სასტრო-ამიჯოიო.

იუწყებიან აგრეთვე, რომ გენერალ-ლეიტენანტმა სუჰარტომ და გენერალმა სასტროდინატა, როგორც ჩანს, მტკიცედ იიღეს ხელში ძალაუფლება.

ნიუ-იორკი, 14 მარტი. (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის საგენტოს სინგაპურელი კორესპონდენტი იუწყება:

როგორც დღეს ჯაკარტის რადიომ გამოაცხადა, გენერალ-ლეიტენანტმა სუხარტომ ინდონეზიის კომუნისტური პარტიის ყველა ფუნქციონერს უბრძანა გამოცხადდეს ადგილობრივ სამხედრო სარდლობასთან.

აქ მიღებულ რადიოს გადაცემაში ნათქვამია, რომ სუხარტომ გამოცხადების ვადად მარტის ბოლო დაუნიშნა.

გამოუცხადებლობის შემთხვევაში, აღნიშნულია გადაცემაში, მათ წინააღმდეგ განხორციელდება ღონისძიებანი.

რადიომ აგრეთვე გამოაცხადა, რომ სუხარტომ ყველა პოლიტიკური პარტიას უბრძანა კომუნისტები არ მიიღონ თავიანთი პარტიების წევრებად.

ლონდონი, 15 მარტი. (საკდესი). რეიტერის სააგენტოს სინგაპურელი კორესპონდენტი იმოწმებს ჯაკარტის რადიოს გადაცემას და იუწყება, რომ გუშინ ბოგორაში პრეზიდენტმა სუკარნომ თანმხლებ მოაწყო ინდონეზიის შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელებთან. თათბირმა ოთხ საათს გასტანა. თათბირის დაცსწრო ინდონეზიის თავდაცვის მინისტრი გენერალ-მაიორი სარბინი. თათბირზე განხილული საკითხების შესახებ არაფერს იუწყებიან.

სახმელეთო ძალების სარდალი გენერალ-ლეიტენანტი სუხარტო არ დასწრებია თათბირის ავადმყოფობის გამო, ნათქვამია რადიოს გადაცემაში.

ბოშხამული პტომაინი

ნიუ-იორკი, 14 მარტი. (საკდესი). შეერთებული შტატების წარუმატებლობა ვიეტნამში „ბოშხამულ და მანიერ ატმოსფეროს ქმნის ვაშინგტონში, წერს გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსის" მიმომხილველი ჯეიმს რესტონი.

„უთანხმოებანი ვიეტნამის საკითხში დიდი და ღრმაა და... სულ უფრო მკაფიოდ გამოხატული პირად ხასიათის იქებს, — წერს რესტონი. — ეს ომი არ იწვევს ჩვეულებრივ შეკავშირებას პრეზიდენტის გარშემო".

რესტონი აღნიშნავს, რომ „ყველგან საზღვარგარეთ მთავრობას საქმე აქვს სულ უფრო მეტ საზრუნავსა და უსიამოვნებასთან".

„ყოველივე ეს წარმოშობს მოშხამულ და დროდადრო მანიერ ატმოსფეროს, რომელიც აქ უკვე რამდენიმე წელია არ იგრძნობოდა", — წერს დასასრულ რესტონი.

კუბამე ნკრუმას გამოსვლა

კონაკრი, 14 მარტი. (საკდესი). გუშინ საღამოს კონაკრის რადიოთი განის ხალხს მიმართა დოქტორმა კვამე ნკრუმამ. მან გააანალიზა ამ ბოლო დროს მომხდარი ამბები და მოუწოდა განელებს აქტიურად იბრძოლონ დამოუკიდებლობის მონაპოვართა შესანარჩუნებლად. ნკრუმამ თქვა: „ვერავინ ვერ შეძლებს მოსპოს ჩვენი სოციალისტური მონაპოვრები, — სოციალისტური სახელმწიფო, რომელიც ჩვენ შევქმენით".

კვამე ნკრუმამ მოუწოდა განელებს „არ დაკარგონ მომავლის რწმენა".

ძალაში შევიდა...

დასავლეთი ბერლინი, 14 მარტი. (საკდესი). ძალაში შევიდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობასა და დასავლეთ ბერლინის სენატს შორის ამ დღეებში ხელმოწერილი შეთანხმება საშვების შესახებ. დღეს დასავლეთ ბერლინის ყველა რაიონში გაიხსნა შეთანხმებით გათვალისწინებული საშვების გაფორმების პუნქტები. ამ პუნქტებში ყველა დასავლეთბერლინელი, რომლებსაც ქალაქი ნათესავები ბერლინში, მიიღებს საშვს მიმდინარე წლის 7-დან 20 აპრილამდე და 23 მაისიდან 5 იანისამდე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქში ჩასასვლელად. საშვების გაფორმება 2 აპრილამდე გაგრძელდება.

უმნიშვნელოვანესი მოვლენა

თეირანი, 14 მარტი. (საკდესი). „უდავოა, რომ საბჭოთა კავშირ-ირანის ხელშეკრულებანი ეკონომიური და ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ, მათ შორის მეტალურგიული ქარხნის, სამრეწველო საწარმოების, აგრეთვე გაზსადენის მშენებლობის შესახებ უმნიშვნელოვანესი მოვლენაა ირანის ეკონომიურ ცხოვრებაში მიმდინარე წელს", — წერს გაზეთი „ქეიხანი" რეპორტაჟში რუბრიკით „წლის ღირსშესანიშნავი მოვლენები".

მერი ჰემინგუეი ალიარეგს...

იტალიური ყოველკვირეულის „ესპრესოს" კორესპონდენტთან საუბარში ერნსტ ჰემინგუეის ქვრივმა მერი ჰემინგუეიმ პირველად აღიარა, რომ „გამოჩენილმა ამერიკელმა მწერალმა ნამდვილად მოიკლა თავი და იგი არ ყოფილა უბედური შემთხვევის მსხვერპლი, იუწყება საკდესის კორესპონდენტი რომიდან.

„დიახ, მან თავი მოიკლა, ეს ნამდვილად ასეა, ბოლოს მოიკლა, — თქვა მერი ჰემინგუეიმ. — მე დიდხანს ვერ ვბედავდი ამის აღიარებას... მაგრამ დავრწმუნდი, რომ სისულელეა თავს ისე აჩვენებდე, თითქოსდა გვეროდეს უბედური შემთხვევისა. აბსოლუტურად სისულელეა. ბევრი თქვენსავით ამტკიცებს, რომ ეს იყო თანმიმდევრული სიკვდილი, რომ ერნსტი არ ეკუთვნოდა იმ ადამიანთა რიცხვს, რომლებიც თავის ლოგიწში ავადმყოფობით ქვდებიან. არ ვიცი რა გიპასუხოთ, როცა ის დაკარგე, მე ალმოვჩნდი როგორიღაც წყვდიადში, როგორიღაც გამოუვალ ჩიხში, რომლიდანაც მხოლოდ ახლა ვცდილობ თავის დაღწევას. თუმცა ერნსტის დამ თქვა „თუ ერნსტს მიაჩნდა, რომ ეს ასე იყო საჯირო, მან სწორი ჰქნა, როცა ასეთი ნაბიჯი გადადგა. მე მიგბრუნ იგივეს თქმა, მე ზომ ასე სასოწარკვეთილებამდე მაყლია იგი".

„იგი ავადმყოფი, სასოწარკვეთილი ადამიანი იყო და ჩვენ არ შეგვიძლია განვსაჯოთ ავადმყოფი, სასოწარკვეთილი ადამიანის მოქმედება", — დაუმატა „ქეიხანი" რეპორტაჟში რუბრიკით „წლის ღირსშესანიშნავი მოვლენები".

... ...

კომუნისტი

მე-3 გვერდი, ოთხშაბათი, 16 მარტი, 1966 წ.

სოლიდარობას უცხადებენ მეგრძოლ ვიეტნამს

ჰავანა. კუბაში ვიეტნამთან სოლიდარობის კვირეულის დაიწყო დიდი სადღესასწაულო ღონისძიებთ მესაზღვრეთა ბატალიონში, რომელიც კუნძულის სამხრეთ-აღმოსავლეთით იცავს დემარკაციულ ხაზს სამხედრო-საზღვაო ბაზა გუანტანამოსთან. ყოველდღე მესაზღვრენი ხედავენ იგივე მტერს, რომელსაც ხედავენ მათი ვიეტნამელი ძმები, — ამერიკის იმპერიალიზმს. ბატალიონის საუკეთესო მებრძოლები სათავეში ჩაუდგნენ „სოლიდარობის ქარავანს", რომელიც ამ დღეებში მთელ კუნძულზე გაივლის.

„მესაზღვრეთა ეს ბატალიონი მიგვაჩნია ჩვენი ეროვნული განთავისუფლების შეიარაღებული ძალების მებრძოლ ნაწილად", — განაცხადა სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის ჰავანის საელჩოს მეთაურის მოადგილემ ლი ვან საუმ.

მთელ კუბაში ვიეტნამთან სოლიდარობის კვირეულის დღეებში გაიმართება მშრომელთა მასობრივი მიტინგები და კრებები.

რომი, ბოლონიაში 20 ათასზე მეტი კაცი გამოვიდა დემონსტრაციაზე. ვიეტნამის მშვიდობისა და თავისუფლებისათვის. შემდეგ პარიზელების მოედანზე გაიმართა მიტინგი.

რომში, კარარაში, პადუასა და იტალიის ბევრ სხვა ქალაქში გაიმართა საპროტესტო დემონსტრაციები, კრებები და მიტინგები ამერიკის იმპერიალიზმის აგრესიული მოქმედების წინააღმდეგ.

სან-ხოსე. კოსტარიკის სახალხო ავანგარდის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა მანუელ ვალვერდემ პარტიის წევრებსა და კოსტარიკელებს მოუწოდა ძალღონე და ენერგია არ დაიშურონ, რათა მიაღწიონ მთელ კოსტარიკაში ვიეტნამთან სოლიდარობის კვირეულის სრულ წარმატებას.

ყველა რევოლუციონერის მოვალეობაა, განაცხადა ვალვერდემ, მტკიცედ დაუჭიროს მხარი ვიეტნამელთა გმირულ ბრძოლას იმპერიალისტთა აგრესიის წინააღმდეგ. (საკდესი).

მდგომარეობა პარტნიორთა უთანხმოებანი

ნიუ-იორკი, 14 მარტი. (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის საგენტოს სინგაპურელი კორესპონდენტი ჯონ კენტიელი გვატყობინებს:

აქ მიღებული ცნობებით, ინდონეზიის ახალმა სამხედრო ხელისუფლებამ დაპატიმრეს კაბინეტის 16 მინისტრი.

აქ ჩამოსულ საქმეს გაცნობილ პირთა ამ ცნობებში ნათქვამია, რომ დაპატიმრეს აგრეთვე რამდენიმე თვალსაჩინო პოლიტიკური მოღვაწე, დაპატიმრებულთა შორის არიან პრემიერ-მინისტრის სუბანდრიოს პირველი მოადგილე, პრემიერ-მინისტრის საელჩის მესამე მოადგილე, ინფორმაციის მინისტრი აჰმადი, სასკოლო განათლების მინისტრი სუმარჯო. დაპატიმრებულია აგრეთვე თვალსაჩინო პოლიტიკური მოღვაწე ალი სასტრო-ამიჯოიო.

იუწყებიან აგრეთვე, რომ გენერალ-ლეიტენანტმა სუჰარტომ და გენერალმა სასტროდინატა, როგორც ჩანს, მტკიცედ იიღეს ხელში ძალაუფლება.

ნიუ-იორკი, 14 მარტი. (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის საგენტოს სინგაპურელი კორესპონდენტი იუწყება:

როგორც დღეს ჯაკარტის რადიომ გამოაცხადა, გენერალ-ლეიტენანტმა სუხარტომ ინდონეზიის კომუნისტური პარტიის ყველა ფუნქციონერს უბრძანა გამოცხადდეს ადგილობრივ სამხედრო სარდლობასთან.

აქ მიღებულ რადიოს გადაცემაში ნათქვამია, რომ სუხარტომ გამოცხადების ვადად მარტის ბოლო დაუნიშნა.

გამოუცხადებლობის შემთხვევაში, აღნიშნულია გადაცემაში, მათ წინააღმდეგ განხორციელდება ღონისძიებანი.

რადიომ აგრეთვე გამოაცხადა, რომ სუხარტომ ყველა პოლიტიკურ პარტიას უბრძანა კომუნისტები არ მიიღონ თავიანთი პარტიების წევრებად.

ლონდონი, 15 მარტი. (საკდესი). რეიტერის სააგენტოს სინგაპურელი კორესპონდენტი იმოწმებს ჯაკარტის რადიოს გადაცემას და იუწყება, რომ გუშინ ბოგორაში პრეზიდენტმა სუკარნომ თათბირი მოაწყო ინდონეზიის შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელებთან. თათბირმა ოთხ საათს გასტანა. თათბირის დაესწრო ინდონეზიის თავდაცვის მინისტრი გენერალ-მაიორი სარბინი. თათბირზე განხილული საკითხების შესახებ არაფერს იუწყებიან.

სახმელეთო ძალების სარდალი გენერალ-ლეიტენანტი სუხარტო არ დასწრებია თათბირის ავადმყოფობის გამო, ნათქვამია რადიოს გადაცემაში.

არეულობა პენჯაბის შტატში

დელი, 14 მარტი. (საკდესი). ინდოეთის ეროვნული კონგრესის პარტიის სამეფოო კომიტეტმა გადაწყვიტა გარდაქმნას პენჯაბის შტატი ენობრივ საფუძველზე. ამის გამო ამრიგესოსა და შტატის ბევრ სხვა ქალაქში დაიწყო მღელვარება.

როგორც პრეს ტრასტ ოფ ინდიას საგენტო იუწყება, იმ პროცესიათა მრავალმა მონაწილემ, რომლებიც მოაწყო რეაქციულმა რელიგიურ-სათემო პარტია „ჯან სანგ-ჰამ", დაარბია ფოსტის რამდენიმე განყოფილება და რკინიგზის საგენტო ქალაქ ლუდჰიანაში. ამ დაწესებულებათა დოკუმენტები, ავეჯი და სხვა ქონება ქუჩაში გაყარეს და დაწვეს. პოლიცია იძულებული იყო სროლა აეტეხა, რის შედეგადაც დაიჭრა ხუთი კაცი.

გუშინ საღამოს ქალაქ ჯალანდარში შემოიღეს მთელი დღეღამის საკომენდანტო საათი; წინათ საკომენდანტო საათი შემოიღეს აგრეთვე შტატის იმ მთელ რიგ სხვა ქალაქებში, რომლებიც მღელვარებამ მოიცვა.

დელი, 15 მარტი. (საკდესი). როგორც პრეს ტრასტ ოფ ინდიას საგენტო იუწყება, კალკუტასა და მის გარეუბნებში სავსებით აღდგენილია ნორმალური მდგომარეობა. ყველა მარშრუტით განახლდა ტრამვაისა და ავტობუსის მიმოსვლა.

უცხოეთის პრესაში

საზღვარგარეთის ბევრი გაზეთის ფურცლებზე დღეს მოთავსებულია ინფორმაცია, რომ ვიეტნამის მებრძოლ ხალხთან სოლიდარობის კვირეულის გამო სხვადასხვა ქვეყანაში იმართება კრებები და მიტინგები. ჩეხოსლოვაკიის გაზეთები იუწყებიან, რომ გუშინ პრაღაში ამასთან დაკავშირებით გაიმართა პრეს-კონფერენცია, რომელიც სტუდენტთა საერთაშორისო კავშირმა მოაწყო. პოლონური „ტრიბუნა ლუდუ" წერს, რომ მშრომელებმა ფართოდ დაუჭირეს მხარი ნოვა გუტის ლენინის სახელობის მეტალურგიული კომბინატის კოლექტივის ინიციატივას ვიეტნამელ ხალხთან სოლიდარობის ფონდისათვის სახსრების შეგროვებაში.

ამერიკის გაზეთები აქვეყნებენ ინფორმაციას, რომ გუშინ სამხრეთ ვიეტნამის ქალაქ გუეში გაიმართა დიდი დემონსტრაცია, რომლის მონაწილენი მოიოხოვდნენ, რომ სამხედრო ხრეკა შეიცვალოს სამოქალაქო მთავრობით. „ნიუ-იორკ ტაიმსსა" და „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნს" მოჰყავთ მონაცემები ამერიკის შეერთებული შტატების საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვისა, რაც სტენფორდის უნივერსიტეტის სოციოლოგთა ჯგუფმა მოაწყო.

ეს მონაცემები ცხადყოფენ, რომ ამერიკელთა უმრავლესობა მოითხოვს ვიეტნამის მდგომარეობის მშვიდობიან მოწესრიგებას.

დასავლეთის პრესა კვლავ ბევრ ადგილს ხმობს კომენტარს საფრანგეთის მემორანდუმის გამო ნატოს მონაწილე ქვეყნებისადმი. სათაურით „უთანხმოება თოთხმეტ სახელმწიფოს შორის" ფრანგული „ლუმანიტე" აღნიშნავს წინააღმდეგობებს საფრანგეთის ნატოელ პარტნიორებს შორის, რომლებიც იხილავენ საფრანგეთის მემორანდუმზე „გასაცემ პასუხს, „ამენერგულ პროექტს, „რომელიც ლონდონმა და ვაშინგტონმა წამოაყენეს, — წერს გაზეთი, — უარყოფს ნატოს ზოგიერთი სხვა მონაწილე, კერძოდ ნორვეგია და დანია". თავის მხრივ, ინგლისური „ფაინენშლ ტაიმსი", ბაზს უსვამს ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრის სტეიუარტის განცხადებას, რომ „ლონდონმა გადაწყვიტა შეინარჩუნოს ნატო". გაზეთს მიაჩნია, რომ დასავლეთ ევროპის კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრების მომავალ თათბირზე ინგლისი „მტკიცე პოზიციას" დაიკავებს საფრანგეთის მემორანდუმის მიმართ.

„უმჯობესია უარესზეზე, ვიდრე უნაყოფოდ" — გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ოფიციალური წარმომადგენლის ფონ ჰაზეს ამ სიტყვებს სათაურად ბეჭდავენ დღეს დასავლეთ გერმანიის მეტი ფილი გაზეთები. „ნიუ-იორკ ტაიმსი" აქვეყნებს სენატის დემოკრატთა უმრავლესობის ლიდერის მენსფილდის განცხადებას. მან შეიტანა წინადადება რომენიანდმი გადასინჯოს ნატოს საბჭოს სტრუქტურა და შეამცირდეს ამერიკის ჯარების რიცხვი დასავლეთ ევროპაში.

იაპონიის პრესა წერს, რომ პარლამენტში გაძლიერდა ვითარება იმის გამო, რომ სოციალისტურმა პარტიამ უარი თქვა მონაწილეობა მიეღოს პარლამენტის კომისიების მუშაობაში, სანამ პრემიერ-მინისტრი სატო არ უარყოფს თავის განცხადებას, რომ იაპონია დაიცავს ოკინავას, თუ „თავს დაესხნენ" ამ კუნძულს, რომელიც გადაქცეულია ამერიკის სამხედრო ბაზად. სატოს ამ განცხადების წინააღმდეგ პროტესტი გამოთქვეს აგრეთვე კომპარტიამ და კომეიტოს პარტიამ — „სოციალური სამართლიანობის პარტიამ".

ინდოეთის გაზეთები აქვეყნებენ ინფორმაციას პენჯაბსა და დელის ქველ რაიონებში მღელვარების შესახებ, იუწყებიან, რომ ხუთი კაცი დახოცილია და რამდენიმე ათეული — დაჭრილი.

დასავლეთ გერმანიის პრესა, იხილავს რა ბავარიისა და შლეზვიგ-ჰოლშტაინში გამართული კომუნალური არჩევნების შედეგებს, უყურადღებას უთმობს იმას, რომ ნეონაცისტურმა ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ „ბევრი ხმა ... ...



კეთილმეზობლობა მტკიცდება

სსრ კავშირ-თურქეთის მეგობრობისა და ძმობის ხელშეკრულების 45 წლისთავი

სოციალისტური რუსეთი და მისი მთავრობა — სახალხ



ქართული აზრის მატიანე

გაზეთ „დროების“ დაარსების 100 წლისთავის გამო

ბასული საუკუნის სამოციანი წლებიდან საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში სრულიად ახალი ხანა დაიწყო. ი. ჭავჭავაძის მეთაურობით სამწერლო-სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდა რეფორმიერ-დემოკრატიული იდეებით აღჭურვილი ახალი თაობა, რომელმაც თავისი მსოფლმხედველობის ძირითადი ნიშნები ჟურნალ „საქართველოს მოამბეში“ ჩამოაყალიბა. „საქართველოს მოამბემ“ შეძლო ამაღლებულიყო თავისი დროის პრინციპული საკითხების მართებულ გაგებამდე, ყურადღების ცენტრში დაეყენებინა ეროვნული და სოციალური პრობლემები და ძნელი აღემართა ჰუმანიზმისა და განმანათლებლობის დიადი დროშა. მაგრამ „საქართველოს მოამბემ“ მხოლოდ ერთ წელიწადს იარსება, 1864 წლიდან მისი გამოცემა შეწყდა და ქართველი საზოგადოება ჟურნალ „ცისკრის“ ამარა დარჩა, რომელიც არსებითად კონსერვატულ-ლიბერალური ჯგუფის ორგანოს წარმოადგენდა. ამიტომ „საქართველოს მოამბის“ დახურვისთანავე ი. ჭავჭავაძემ წამოაყენა გაზეთ „დროების“ დაარსების აზრი.

ორ წელზე მეტი დასჭირდა მოსამზადებელ მუშაობას და გაზეთის გამოცემის ოფიციალური ნებართვის მიღებას. 1866 წლის 4 მარტს (ახალი სტილით 16 მარტს) გ. წერეთლის რედაქტორობით გამოვიდა „დროების“ პირველი ნომერი, რომელიც არსებითად „საქართველოს მოამბის“ იდეური ხაზის გამგრძელებელ რადიკალურ ორგანოს წარმოადგენდა.

ქართველმა განმანათლებლებმა იმთავითვე მტკიცედ განსაზღვრეს „გაზეთის პროგრამა. „დროება“ უნდა ყოფილიყო მებრძოლი პროგრესული ორგანო, რომელიც ეროვნულ-განმათავისუფლებელი დროშის ქვეშ დარაზმავდა ქართველ ხალხს, გაიჩაღებდა შეუპოვარ ბრძოლას ბატონყმობის ნაშთების წინააღმდეგ, ხელს შეუწყობდა ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებას, დაიცავდა ფართო მშრომელი მოსახლეობის ინტერესებს, იზრუნებდა ქართული ლიტერატურისა და პუბლიცისტიკის განვითარებისათვის და ღრმად ჩაენერგვოდა ქართველ ხალხში პატრიოტიზმის, ჰუმანიზმისა და ინტერნაციონალიზმის მაღალ გრძნობებს.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ „დროებას“ დასახული გზისათვის არასოდეს არ უღალატნია. მისი რედაქტორები გ. წერეთელი, შემდეგ ს. მესხი და ბოლოს ნ. მაჩაბელი უოველად ახორციელებდნენ დასახულ პროგრამას. მართალი იყო ს. მესხი, როდესაც წერდა: „რაც რამე ნაჭიერი, მოძრავი და ცოცხალი იყო ჩვენს საზოგადოებაში, ყველფერმა და ყველამ თავისი კვალი დააჩნია ამ გაზეთში. ეს იყო თითქმის ჩვენი ლიტერატურის ერთადერთ წარმომადგენელი, რომლის საშუალებითაც შეიძლებოდა საზოგადოებასთან ბაასი... გაზეთს უყურადღებოდ არ დაუტოვებია თითქმის არცერთი საკითხი, რომელიც კი იმ დროს აწუხებდა ანუ ინტერესებდა ჩვენს საზოგადოებას“.

ერთ-ერთ ასეთ მტკივნეულ პრობლემას წარმოადგენდა ეროვნული საკითხი, რომელსაც „დროებამ“ განსაკუთრებული ყურადღება დუთმო. „დროება“ ამიერკავკასიის ხალხთა ძმობისა და ერთობის გულმხურვალე პროპაგანდისტი იყო.

„დროების“ ღრმად სწამდა, რომ საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის აღდგენა მჭიდროდ იყო დაკავშირებული მშრომელი ხალხის სოციალური ჩაგვრისაგან განთავისუფლების საკითხთან.

ჩვენი ცხოვრების სწორ გზაზე დაყენების ერთ-ერთ აუცილებელ პირობად „დროებას“ ეგულებნის საქართველოს ეკონომიური აღორძინება მიაჩნდა. საქართველოს სახალხო მეურნეობის ძირითად და განსაზღვრელ დარგად გაზეთი სოფლის მეურნეობას თვლიდა და ყოველმხრივ უწყობდა ხელს მის განვითარებას.

გაზეთი კარგად ამჩნევდა და მხარს უჭერდა საქართველოში კაპიტალიზმის განვითარების პროცესს. „დროება“ ყურადღებას ამახვილებდა ევროპის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაზე და ევროპაში მომხდარ მსოფლიო მნიშვნელობის მოვლენებს თავისი მსჯელობების საგნად ხდიდა. ამ მხრივ განსაკუთრებული საყურადღებოა „დროების“ დამოკიდებულება პირველ ინტერნაციონალთან და პარიზის კომუნისთან.

მაშინ როცა რუსეთის ლეგალურ პრესაში პირველი ინტერნაციონალის შესახებ თითქმის ინფორმაცია არ იბეჭდებოდა, „დროება“ საკმაოდ ფართოდ ეხმაურებოდა ამ უდიდეს მოვლენას კაცობრიობის ისტორიაში და მკითხველ საზოგადოებას განუმარტავდა მას საერთაშორისო მნიშვნელობას.

„დროება“ გულწრფელად გამოეხმაურა პარიზის კომუნარების გმირულ ბრძოლას, როდესაც რუსეთის ცენტრალური რეაქციული პრესა დაჟინებით მოითხოვდა კომუნარების განადგურებას, „დროებამ“ მოურიდებლად გააკრიტიკა ლუი ბონაპარტის გახრწნილი სახელმწიფოებრივი სისტემა და ჯალათ ტიერის კონტრრევოლუციური მთავრობა.

ხელოვნების რეალისტური მეთოდით რომ ხელმძღვანელობდა, „დროებამ“ თავის ირგვლივ შემოიკრიბა იმ პერიოდის საუკეთესო მწერლები და მათ მიერ შექმნილი კლასიკური მხატვრული ნაწარმოებების საშუალებით დიდად შეუწყო ხელი კრიტიკული რეალიზმისა და მატერიალისტურ-ესთეტიკურ შეხედულებათა განმტკიცებას ქართულ მწერლობაში.

„დროებამ“ უდიდესი როლი შეასრულა ავრეთვე საზოგადოებრივ-პედაგოგიური აზროვნების განვითარებისა და მოზარდი თაობის გონიერულად აღზრდის საქმეში. მან მეცნიერულად დაასაბუთა მოდალზნეობრივი, ყოველმხრივ განვითარებული და მოშაზებული ადამიანის აღზრდის საჭიროება, დამყარებულად განმარტა ცხოვრებასთან სკოლის მჭიდრო კავშირის აუცილებლობა, გონებრივი და ფიზიკური შრომის ერთიანობის მნიშვნელობა, ოჯახის, როლი ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში და ხაზგასმით აღნიშნა, რომ აღზრდის უპირველეს დანიშნულებას მოზარდი თაობის ცხოვრებისათვის მომზადება შეადგენდა.

მეტად მძიმე და მრავალი წინააღმდეგობით აღსავსე იყო ის გზა, რომელიც გაზეთმა „დროებამ“ განიარა. ამ წინააღმდეგობებთან ბრძოლაში იგი ყოველთვის რადიკალურ პოზიციაზე იდგა და არსებითად პროგრესულ თვალსაზრისს გამოხატავდა, სწორედ ეს რადიკალიზმი იყო მიზეზი, რომ 1885 წელს მეფის ხელისუფლებამ „დროების“ გამოცემა აკრძალა.

„დროება“ XIX საუკუნის 70-80-იანი წლების ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ბრწყინვალე მატიანეა.

ი. ბოცვაძე.

მახარაძის რაიონის როგორც ცენტრში, ისე სოფლებში ყოველწლიურად ფართოვდება სავაჭრო ქსელი. მომხმარებელს პირველი მოთხოვნილების საქონლის საყიდლად შორ მანძილზე აღარ უხდება სიარული. სოფლის მშრომელთა გაჯაგრულებაშია კეთილმოწყობილი მაღაზიები. ამას წინათ ქ. მახარაძეში გაიხსნა ახალი ორსართულიანი უნივერმაღი. სურათზე: უნივერმაღის შენობის საერთო ხედი.

ფოტო ი. შაქარიშვილისა.

ახალგაზრდა პიანისტი

ნინო ბერაძე მუსიკოს-შემსრულებელთა ნორჩ თაობას ეკუთვნის. მიუხედავად ამისა, მისმა ამსწრინადელმა კონცერტმა კონსერვატორიის მცირე დარბაზში თბილისის მუსიკალური საზოგადოებრიობის ყურადღება მიიპყრო. საქმე ის არის, რომ ცენტრალური მუსიკალური ათწლედის მე-8 კლასის მოსწავლე ნ. ბერაძე (ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ვ. შოუკაშვილის კლასი) ჯერ რამდენჯერმე წარსდგა ფართო აუდიტორიის წინაშე რთული პროგრამით და ნათლად გამოავლინა მუსიკალური ნიჭი და მზარდი ოსტატობა. ჩვენი სარეცენზიო კონცერტის პროგრამაში შედიოდა ბახის პარტია სოლ-მაჟორი, შუმანის სონატა სოლ-მინორი, შოპენის რამდენიმე ნაწარმოები (მათ შორის პირველი ბალადა) და ლისტის მეფისტო-ვალსი.

ბახის პარტიის შესრულების შემდეგ აშკარა გახდა, რომ ახალგაზრდა პიანისტს ძალუძს დაძლიოს ამ ნაწარმოების როგორც ტექნიკური, ისე მხატვრულ-მუსიკალური სიძნელენი. პიანისტმა განსაკუთრებით კარგად შეასრულა დარბაისლური სარაბანდა და გრაციოზული პასპიე. ერთგვარად აჩქარებული და ბგერის მხრივ გადატვირთული იყო პრელუდია და კურანტა, რაც ალბათ გამოწვეული იყო იმ მღელვარებით, რომელსაც კონცერტის დასაწყისში განიცდის ყოველი მუსიკოსი.

შესრულების მხრივ საკონცერტო პროგრამაში საუკეთესო იყო შუმანის სონატა. ახალგაზრდა მუსიკოსი ღრმად ჩასწვდა მის რომანტიკულ სულს, დამაჯერებლად გახსნა კონტრასტული სახეები. ეს განსაკუთრებით შეეხება სონატის პირველ ორ ნაწილს.

კარგი შთაბეჭდილება დატოვა აგრეთვე შოპენის ბალადის შესრულებამ. ახალგაზრდა მუსიკოსმა კარგად შეიგრძნო ნაწარმოების რთული ფორმა და იგი ერთ მთლიან განვითარებაში წარმოაჩინა.

რაც შეეხება ნოტტიურნს, უნდა აღვნიშნოთ, რომ მას აკლდა სიღრმე, დრამატიზმი.

კონცერტის დასასრულს შესრულებულ იქნა ლისტის მეფისტო-ვალსი. პიანისტმა ამ ნაწარმოების ყველა უმთავრესი ტექნიკური სიძნელე წარმატებით დაძლია.

კონცერტმა ნათელყო, რომ ნ. ბერაძე უკვე საკმაო კარი პროფესიული დონის პიანისტი და ნიჭიერი, ბერსპექტიული მუსიკოსია.

ო. კაიშაური.

ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი.

* * *

სურათზე: უკრავს ნინო ბერაძე.

თეატრალური ქრონიკა

ტყიბული. (საკ. კორ.). **კულტურის სასახლესთან არსებულმა სახალხო თეატრმა მორიგ პრემიერად უჩვენა ე. ნინოშვილის „სიმონა ძალაძე“, ინსცენირებული საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის გ. ლადიძის მიერ. დადგმა ეკუთვნის გ. ლუზუტელს.**

ჭიათურა. (საკ. კორ.). ვ. ი. ლენინის სახელობის მაღაროს მუშათა კლუბთან არსებობს თვითმოქმედი თეატრალური კოლექტივი. მას თავიანი დადგმები ხშირად უჩვენებია ჭიათურის ა.ა. წერეთლის სახელობის სახელმწიფო თეატრის სცენაზეც.

ამ დღეებში თეატრალურმა კოლექტივმა მოამზადა პრემიერა „ზვინსბერი გოჩა“, რომელიც დადგეს ტ. გაფრინდაშვილმა და გ. აბზიანიძემ. მხატვრულად გააფორმა ტ. გაფრინდაშვილმა.

აქადემიკოს ნ. ბ. სისაკიანის დაკრძალვა

15 მარტს მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი, მოსკოვის მშრომელები გამოეთხოვნენ თვალსაჩინო მეცნიერ-ბიოქიმიკოსს, საბჭოთა მეცნიერების გამოჩენილ ორგანიზატორს აკადემიკოს ნიკოლაი მარტროსისაძე სისაკიანს. უეცარმა სიკვდილმა შეწყვიტა დიდი მშრომელის ნათელი სიცოცხლე, რომელიც მან უკანასკნელ წუთამდე მოახმარა სამშობლოს, მეცნიერების განვითარებას.

სამოქალაქო პანაშვიდზე, რომელიც სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის კონფერენც-დარბაზში გაიმართა, სტუდენტი წარმოთქვეს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა მ. ვ. კელდიშმა, აკადემიკოსებმა ვ. ა. კირილინმა, ა. ი. ოპარინმა და სხვებმა.

სამგლოვიარო მიტინგი გაიმართა ნოენოდეგიზის სასაფლაოზე. ორატორებმა მაღალი შეფასება მისცეს განსვენებულის დამსახურებას სამშობლოს, საბჭოთა და მსოფლიო მეცნიერების წინაშე.

(საკ. ფსი).

ერევნის მოსახლეობა მილიონს მიაღწევს

ერევანი. 14 მარტი. (საკ. ფსი). ოცდაშვიდნახევარი საუკუნის წინათ შექმნილი ერევანი კიდევ უფრო გაიზრდება და სახეს იცვლის. სომხეთის სსრ მინისტრთა საბჭომ დაამტკიცა რესპუბლიკის დედაქალაქის განვითარების უახლესი თხუთმეტი წლის გენერალური გეგმის ტექნიკურ-ეკონომიური საფუძვლები და უფრო შორეული პერსპექტივა. ამ მუშაობას სამი წლის განმავლობაში აწარმოებდნენ ინსტიტუტ „ერევანპროექტის“ არქიტექტორები.

სომხეთის დედაქალაქის განვითარების გენერალური გეგმის ავტორებმა შექმნეს ქალაქის მთლიანი არქიტექტურულ-სივგეგმო კომპოზიცია. უახლოეს ორ-სამ ათწლეულში ერევნის მოსახლეობა ერთ მილიონს მიაღწევს. ქალაქი ძირითადად არარატის ველიდან მთებისაკენ განვითარდება. საზღვრების გაფართოებასთან ერთად იწარმოებს ცენტრალური ნაწილის რეკონსტრუქციაც.

მოსწავლის მამაცობა

რუსთავი. 14 მარტი. (საქდესი). ექვსი წლის ზურაბ დემეტრაშვილი მტკვრის ნაპირას თამაშობდა. მან უცაბედად წაიბორძიკა, ფეხი დაუცურდა და წყალში გადავარდა. ბიჭუნა სწრაფმა დინებამ გაიტაცა...

ერთი-ორი წუთის შემდეგ ამობობქარებელ მტკვარში ტანსაცმელის გაუხდელად გადაეშვა ვოლაკ ახალგაზრდა. იგი თავგანწირულად ებრძოდა დინებას და იქამდე ალეხთავედა, სანამ ფსკერიდან გონმიხდილი ბიჭუნა არ ამოიყვანა.

ნაპირზე ახალგაზრდამ ბავშვს ხელოვნური სუნთქვა გაუკეთა. შემდეგ კი, როცა ბიჭუნა გონს მოვიდა, ყმაწვილი სახლში გაიქცა ტანსაცმლის გამოსაცვლელად. ალიკოთსა და მეფეერებში მისი სახელი არავის არ უკითხავს.

მხოლოდ სამი დღის შემდეგ მონახეს ზურაბის შშობლებმა მამაცი ახალგაზრდა — რუსთავის მე-5 საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე ეური გურრინი — ჩინებული სპორტსმენი და კარგი ამხანაგი.

გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციას

„თბილისგზირაბმშენის“ კოლექტივი გულითად მადლობას უძღვნის ყველა ორგანიზაციას და იმ პირთ, რომლებმაც მეტროშენებლებს მიულოცეს ქალაქ თბილისში მეტროპოლიტენის პირველი რიგის წარმატებით აგებისათვის მთავრობის საპატიო ჯილდოთი — ლენინის ორდენით დაჯილდოება.

„თბილისგზირაბმშენი“

ჩვენი-პლანეტის ამინდი

ატლანტიკის სუნთქვა

საბჭოთა კავშირის ევროპულ ტერიტორიაზე ათ დღეზე მეტია თბილი ამინდი დგას. ცენტრალურ ზოლში ტემპერატურა საშუალო მრავალწლიურზე 6-7 გრადუსით მაღალია, სამხრეთში — საქართველოში, სომხეთში, აზერბაიჯანში, თურქმენეთსა და უზბეკეთის სამხრეთ ნაწილში ყველგან პლუს 15-20 გრადუსია.

რა არის ესოდენ ადრეული გაზაფხულის მიზეზი?

ჩვეულებრივად ჩრდილოეთ ატლანტიკის ციკლონები ბარენცის ზღვას გადმოკვეთენ ხოლმე და რუსეთის ცენტრალურ რაიონში შემოიჭრებიან. მათ თან მოაქვთ არქტიკის სიცივე, ქმნიან ანტიციკლონს, რომელიც ლამით მსუბუქ ყინვას წარმოშობს, დღისით კი კაშკაშა მზეს. ახლა ციკლონი ჩვეულებრივზე მნიშვნელოვნად უფრო ჩრდილოეთით გადის — არხანგელსკის ოლქსა და ურალზე. სწორედ აქ არის ტემპერატურის მკვეთრი სხვაობანი მინუს 35-38 გრადუსიდან პლუს ორ გრადუსამდე, თოვა და ქარბუქი.

ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტზე ციკლონების გზები დაახლოებით ორი ათასი კილომეტრით უფრო სამხრეთით გადის, ვიდრე ევროპაში. თოვლიანი კანადის ნიკაცვე შეხვდა ამერიკის შეერთებულთ შტატების სითბოს. მძვინვარებდა უმაგალითო ძალის თოვლიანი ქარიშხლები, ხუთ დღეღამეს არ შეწყვეტილი ქარბუქი, ზაზში მატარებლები ჩერდებოდა; დაიხურა აეროპორტები: შეწყდა სატელეფონო ელფონი შტატების სამხრეთში ბოსტონიდან ფლორიდამდე. ბოსტონში კი მიხისხის შტატში გადაიარა ქარიშხალმა, რომელმაც ელექტროგადაცემის ხაზები დაანგრია.

ჩვენს ქვეყანაში გაზაფხული ქარბუქის თანხლებით მოვიდა. აღმოსავლეთ უკანა ხეთის მთებში ზვავები ჩამოწყვა ხოლმე, თოვლის სიმაღლემ სამ მეტრს მიაღწია. მისი სიმძიმით სახლების სახურავები ინგრეოდა. ნამქერებმა საავტომობილო გზებსა და რკინიგზებზე მოძრაობა შეწყვიტა.

უახლოეს დღეებში ბალტიისპირეთში, ბელორუსიაში, რუსეთის ცენტრალურ რაიონში მეტწილად მოლრუბლულობა იქნება, დროდადრო ნალექებით; ღამით მინუს სამი — პლუს ერთი; დღისით მინუს ერთი — პლუს სამი გრადუსი, უკრაინასა და მოლდავეთში გადაივლის სუსტი ნალექები, ღამით მინუს 1 — პლუს 3, დღისით პლუს 3-8 გრადუსი.

კავკასიის შავი ზღვის სანაპიროზე წვიმიანი, მაგრამ თბილი ამინდი იქნება, დღისით პლუს 9-14 გრადუსი. ამიერკავკასიასა და შუა აზიაში მეტწილად მშრალი ამინდი იქნება, დღისით პლუს 12-17 გრადუსი.

ა. სნიტკოვსკი.

სსრ კავშირის ჰიდრომეტეოროლოგიურ ცენტრის მთავარი სინოპტიკოსი.

ზორი ქვეყნებიდან დაბრუნდნენ...

ლათინური ამერიკის ქვეყნებში სსრ კავშირის ნაკრების ხანგრძლივი ტურნეს შედეგად დამთავრდა პირველი ეტაპი გუნდის მომზადებისა ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატისათვის, რომელიც ჩვიდმეტი კვირის შემდეგ დაიწყება ინგლისის სტადიონებზე.

— მთავარი მიზანი, რომელსაც ვისახავდით ჩვენს 50 დღის მოგზაურობაში, ჩემი აზრით, მიღწეულია, — უთხრა საკვლევის კორესპონდენტს ბ. კაჩალოვს სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარემ ნ. რიაშენცევმა. — ზამთრის შესვენების შემდეგ ნაკრების კანდიდატებმა აღიდგინეს ფორმა. ჩვენ შევძელით ნაწილობრივ შეგვეხედნა მომავალი მეტოქეები—ბრაზილიის, არგენტინის, ურუგვაიისა და ჩილის ფეხბურთელები, ხოლო, რაც მთავარია, ნაკრების ყველა მოთამაშე შეგვეფასებინა „ბრძოლის“ პირობებში. მართალია, უკვე მოგზაურობის დასაწყისში წავაწყდით სიძნელეებს: ჩვენმა ბიჭებმა განზრახული 10 დღის ვარჯიშის ნაცვლად ჩასვლისთანავე გამართეს ამხანაგური მატჩები ბრაზილიის პროფესიულ კლუბებთან.

მატჩი ჩვენს მეტოქეებთან მსოფლიო ჩემპიონატის მეოთხე ჯგუფში — ჩილის ნაკრების ფეხბურთელთან არ ყოფილა დაგეგმილი. მიუხედავად ამისა, ჩვენ დავთანხმდით მოგვეწყო იგი. ჩილიელებმა, როგორც ცნობილია, ვერ შეძლეს გაწევმტკიცებინათ თავიანთი ფსიქოლოგიური უპირატესობა სსრ კავშირის ნაკრებთან თამაშში. ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს მომავლისათვის.

მწვრთნელებმა რამდენადმე პრაქტიკულად განსაზღვრეს ნაკრების ბირთვი. მაგრამ გვაწუხებს სხვა რამ—სუსტი შედეგები. თითქმის თერთმეტივე მატჩი, გარდა პირველისა—„ყორინტიანსის“ წინააღმდეგ, საბჭოთა ფეხბურთელების უპირატესობით მიმდინარეობდა, მაგრამ ბურთი ძალიან ცოტა იქნა გატანილი.

რამდენიმე დღეში სსრ კავშირის ნაკრები დაიწყებს მომზადების მეორე ეტაპს. 23 ფეხბურთელი გაემგზავრება იუგოსლავიაში (ს. ბიმა დარჩება შინ, სამაგიეროდ, ალბათ, წავალენ ვ. პონედელნიკი და ბ. სიჭინავა). იქ საწვრთნელ მეცადინეობას მოვაწყობთ იუგოსლავიის ერთ-ერთ საუკეთესო სასპორტო ბაზაზე და ხუთ ამხანაგურ შეხვედრას გავმართავთ პირველი ლიგის უძლიერეს საკლუბო გუნდებთან და, ალბათ იუგოსლავიის ნაკრებთან.

20 აპრილს ბაზელში სსრ კავშირის ნაკრები პირველად შეხვდება შვეიცარიის ნაკრები გუნდის ფეხბურთელებს, რომლებიც მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში გამოვლენ მეორე ჯგუფში (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, ესპანეთისა და არგენტინის გუნდებთან ერთად). 24 აპრილს საბჭოთა ფეხბურთელები ვენაში შეხვდებიან ავსტრიის ნაკრებს, რომელთანაც წელისწინარე მოვალ წელს მათ მოუხდებათ თამაში ევროპის პირველობის ერთ წინასწარ ჯგუფში. 27 და 29 აპრილს სსრ კავშირის ნაკრები ითამაშებს ბუხარიის საკლუბო გუნდებთან და სამშობლოში დაბრუნდება. შემდეგ მატჩს მსოფლიო პირველობაში მონაწილეობის კანდიდატები გამართავენ 22 მაისს ბრიუსელში ბელგიის ნაკრებთან, ხოლო 5 ივნისს მოსკოვში საბჭოთა ფეხბურთის მოყვარულნი იხილავენ ჩვენი ნაკრები გუნდის შეხვედრას საფრანგეთის ნაკრებთან.

(საკდესი).

საქართველოს საჭადრაკო ჩემპიონატი

გაიხსნა საქართველოს 1966 წლის საჭადრაკო ჩემპიონატი ვაჟთა შორის.

წესისაბრალ შედეგად მონაწილეებმა სატურნირო ცხრილში შემდეგი ნომრები მიიღეს: **1. თ. ლომაია, 2. ს. ჩეჩელიანი, 3. ბ. ბუსლაევი, 4. რ. ჯინჭარაშვილი, 5. ი. ჩიქოვანი, 6. თ. გიორგაძე, 7. ვ. თოხაძე, 8. ვ. დავითაშვილი, 9. ბ. გურგენიძე, 10. ა. გვენეტაძე, 11. მ. ჩაგუნავა, 12. ა. ბოკუჩავა, 13. გ. მუკნიაშვილი, 14. ნ. ალექსანდრია, 15. ა. ჩხაიძე, 16. ე. უბილავა, 17. ა. რაზოვსკი, 18. ვ. კერნოვ.**

ჩემპიონატში პირველ და მეორე ადგილებზე გამოსული მოჭადრაკეები მონაწილეობის მიიღებენ საკავშირო ჩემპიონატის ნახევარფინალში, ხოლო ოთხი პრიზიორი ითამაშებს საქართველოს ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში, რომელის ჩატარება განზრახულია ივნისისათვის ბათუმში.

პირველ ტურში დამთავრდა ოთხი პარტია. ამბროლიერელ ა. გვენეტაძეს დიდხანს მტკიცე პოზიცია ჰქონდა ოსტატ ბ. გურგენიძესთან, მაგრამ შემდეგ შეცდა, დიდი მატერიალური დანაკლისი განიცადა და წაგა. ოსტატმა რ. ჯინჭარაშვილმა კარგად წარმართა ბრძოლა ა. ჩხაიძესთან. ფიგურის მარტივი, მაგრამ ლამაზი შეწირვით მან პირველი გამარჯვება იზეიმა. მძაფრ ციტნტოში ვ. კერნოვიცკი შეცდა და დანებდა ოსტატ თ. ლომაიას. ლანჩხუთელმა პირველთანრიგოსანმა ვ. თოხაძემ, რომელიც ასეთ ძლიერ შეჯიბრებაში პირველად მონაწილეობს, საინტერესო ბრძოლის შემდეგ ყაიმით დამთავრა შეხვედრა ოსტატ ა. ბოკუჩავასთან. დანარჩენი პარტიები გადაჭდა.

დღეს გაიმართება მეორე ტური.

ჭადრაკის ახალი ამგეგი

კოპენჰაგენი. 1967 წლის საზოგადოთაშორისო ტურნირის პერსონალური ადგილის პრეტენდენტთა მატჩის მესამე პარტია ე. **გელერსა** და დანიელ **ბ. ლარსენს** შორის არ დამთავრებულა. მეოთხე პარტიაში მეტოქეენი სწორედ შეთანხმდნენ ყაიმზე. ჯერჯერობით ანგარიშია 1,5:1,5.

ბელგრადი. იუგოსლავიის მოჭადრაკეთა კავშირი და სსრ კავშირის ჭადრაკის ფედერაცია გამოსაცემად ამზადებენ ამ ორი ქვეყნის გუნდების მატჩების რჩეულ 100 პარტიას **ტ. პეტროსიანის, მ. ბოტვინიკის, ვ. სმისლოვის, მ. ტალის, ბ. სპასკის, ს. გლიგორიჩის, ბ. ივკოვის** კომენტარებით. წიგნის რედაქტორები არიან **მიხეილ** იუდოვიჩი და **ბოიდარ** კაჟიჩი.. (საკდესი).

სპორტული ქრონიკა

☐ **ბაკიროში** დამთავრდა საერთაშორისო ტურნირი ჩოგბურთში, სადაც სხვებთან ერთად გამოდიოდნენ ჩვენი ქვეყნის წარმომადგენლები — **ბაკშეევი, მეტრეველი, ლეიფანი, ლიხაჩოვი.** საბჭოთა ჩოგბურთელებმა გიმარჯვეს გუნდურ შეჯიბრებაში. მაგრამ შედარებით სუსტად გამოვიდნენ პირად ასპარეზობაში და ვერ გასცილდნენ ნახევარფინალებს.

☐ **სამარყანდში** მიმდინარეობს **ზამთრის საერთაშორისო ტურნირი ფეხბურთში „ა“ კლასის მეორე ჯგუფის გუნდების მონაწილეობით. წარმატებით გამოდის ვილნიუსის „ფალგორეხი“, რომელმაც მეორე გამარჯვება მოიპოვა და ხატურნირო ცხრილის სათავეში მოექცა.**

ბ. ი. მგელაძე

გარდაიცვალა თადარიგის პოდპოლკოვნიკი მიხეილ იასონის-ძე **მგელაძე.**

ბ. მგელაძე დაიბადა 1915 წელს ტყიბულელი მეშახტის ოჯახში. 1934 წელს მან დამთავრა ლენინგრადის სამხედრო-საზღვაო საავიაციო სკოლა და თადარიგში გასვლამდე ასრულებდა სხვადასხვა სამეთაურო თანამდებობას. 1941-1960 წლებში მას ეკავა ხელოს, მაიკოპსის, წულკიძის, ხაშურის რაიონებისა და სახალინის ოლქის ქალაქ დოლინის სამხედრო კომისრის პოსტები.

ბ. მგელაძე 1939 წელს შეიდა სკკპ რიგებში და საბჭოთა არმიიდან დემობილიზაციის შემდეგ 1961-1965 წლებში მუშაობდა საქართველოს კომპარტიის აპარის სოლიჩო კომიტეტის ინსტრუქტორად.

ბ. მგელაძე არაერთხელ იყო არჩეული პარტიის რაიკომის წევრად, რაონული საბჭოს დეპუტატად. 1965 წლის აპრილიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე მუშაობდა არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების აპარატს ასს რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარედ. იგი დაჯილდოებული იყო „წითელი ვარსკვლავის“ ორდენითა და მედლებით. ბ. მგელაძის ნათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება მისი ამხანაგების გულში.

არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტი.

დისერტაციის დაცვა

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

1966 წლის 6 აპრილს დღის 2 საათზე ქიმიის დიდ აუდიტორიაში (ი. ჭავჭავაძის პრ. № 3) ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **ნოდარ ანდრიას-ძე ტუფინაშვილი** დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„შთაგონების თეორია და ესთეტიკური ღირებულების პრობლემა“.**

დისერტაციის გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

თბილისის № 23 საქალაქო პროფტექნიკური სასწავლებელი

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას მრთველის პროფესიაზე

პროფტექნიკურ სასწავლებლებში მიიღებიან 7, 8, 9 კლასის და საშუალო განათლების მქონე ქალიშვილები, რომელთა ასაკი არ აღემატება 20 წელს. საშუალო განათლების მქონე ახალგაზრდები, რომლებიც ფრიადზე დამთავრებენ პროფტექნიკურ სასწავლებელს, უმაღლესი სასწავლებლის დაუსწრებელ და საღამოს დასწრებულ განყოფილებებზე ჩაირიცხებიან კონკურსგარეშე.

სწავლის პერიოდია 1 5 წელი, მოსწავლეებს სწავლის პერიოდი ეთვლებათ საწარმოო სტაჟად. მოსწავლეები უზრუნველყოფილ იქნებიან საერთო ბინით, კვებით, ჩაცმით და მიეცემათ გამომუშავების 33 პროცენტი ფულად.

სასწავლებელში შემსწავლელებმა განცხადება უნდა შეიტანონ დირექტორის სახელზე შემდეგი საბუთების თანდართვით:

1. განათლების მოწმობა (დედანი), 2. დაბადების მოწმობა (დედანი), 3. ავტობიოგრაფია, 4. სამი ფოტოსურათი (4×5), პასპორტი ან ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან.

ხაზუთები მიიღება 10 აპრილამდე. სწავლა დაიწყება 14 აპრილს.

სასწავლებლის მისამართი: ქ. თბილისი, ლენინის რაიონი, ტრიკოტაჟის ქ. № 3, ტელეფონი: 2-63-39 დამატ. 5-73.

თეატრები

16 მარტი

ს. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — აიდა (მე-10 აბონ. მე-5 წარმოდგენა). **რუსთაველის სახელობის მცირე დარბაზი** — ზოია შიხმურზაევას (ვიოლინო) კონცერტი. **მარჯანიშვილის სახელობის** — მთაწმინდის მთვარე. **გრიბოედოვის სახელობის** — მილიონერი (მე-4 აბონ. მე-6 წარმოდგენა), **ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის** — უცნაური მკვლელობა.

ტელევიზია

16 მარტი

17.55 — გადაცემათა პროგრამა, 18.00 — მოსწავლეთათვის — მხატვრული ფილმი „პირველი ბასტილია“, 19.15 — „სანიმუშო წესრიგისათვის თბილისის მეტროპოლიტენში“, 19.35 — „ექვნოკოკოზი და ცენტროზი და მასთან ბრძოლა“, 20.05 — კონცერტი მაყურებელთა თხოვნით, 20.45 — ახალი ამბები (ქართულ და რუსულ ენებზე), 21.05 — მხატვრული ფილმი „მინდა მკერდზე“. 22.25 — გადაცემათა პროგრამა 17 მარტისათვის, 22.30 — სატელევიზიო ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 23.00 — ეთერშია ახალგაზრდობა „ჰორიზონტი“ (გადმოცემა მოსკოვიდან).

17 მარტი

11.00 — კინონარკვევები, 12.00 — მხატვრული ფილმი „ფატმა“, 17.55 — გადაცემათა პროგრამა, 18.00 — გადაცემა მოსწავლეთათვის — „სკოლების დასახმარებლად“, 18.15 — მოსწავლეთათვის — მოკლემეტრაჟიანი ფილმი, 19.10 — „ჩვენი სატელევიზიო „ეკონომიკა“ და ადამიანი“, 20.00 — ახალი ამბების ესტაფეტა (გადმოცემა მოსკოვიდან), 21.00 — მხატვრული ფილმი „ფატმა“, 22.35 — ახალი ამბები (ქართულ და რუსულ ენებზე), 22.55 — გადაცემათა პროგრამა 18 მარტისათვის, 23.00 — „საღამოს შეხვედრები“ (გადმოცემა მოსკოვიდან)